ეროვნული
ბიბლიოთეკა



# საქართველოს ქალი

1
1983
ISSN 0321—1509




ეროვნული ბიბლიოთეკა

„საქართველოს ქალი“

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»

Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# გილოცავთ ახალ წელს!

ეროვნული ბიბლიოთეკა



ედუარდ შევარდნაძე და პოეტები მუხრან მაჭავარიანი და ჯანსუღ ჩარკვიანი ხევსურეთში.

# სამშობლოა თქვენი მეკვლე

**სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ე. ა. შევარდნაძის სიტყვიდან**

**ახალგაზრდობასთან საახალწლო შეხვედრაზე 1981 წლის 31 დეკემბერს**

მინდოდა რამდენიმე სიტყვა მეთქვა ეგრეთ წოდებული დემოგრაფიული პრობლემის გამო. ცნობილია, რა ძვირად დაუჯდა საბჭოთა ხალხს ეხსნა სამშობლოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა, მსოფლიო ცივილიზაცია მიხაკისფერი ჭირისაგან.

მარტო საქართველოში 300 ათასამდე ვაჟკაცი ვერ დაუბრუნდა მშობლიურ კერას. 300 ათასი ვაჟკაცი!.. 300 ათასი მამა!..

ომმა მძიმე კვალი დატოვა. ამის გამოც არის, რომ შობადობის პრობლემა საქართველოში ისევე მწვავედ დგას, როგორც იმ რესპუბლიკებში, რომელთა ტერიტორიაზეც ომის ქარცეცხლმა გადაიარა. წინა თაობამ უზარმაზარი მსხვერპლის ფასად თავისუფლება შეუნარჩუნა ახალ თაობებს. თქვენი ვალია დაეხმაროთ სამშობლოს ჭრილობების მოშუშებაში, დანაკლისის ანაზღაურებაში.

ჩვენ ახლახან მივიღეთ სპეციალური დადგენილება მრავალშვილიანობის წასახალისებლად, მრავალშვილიანი ოჯახებისათვის დახმარების გასაძლიერებლად.

ვინც საქართველოს ისტორია იცის, დამეთანხმება, თუ ვიტყვი, რომ ჩვენი ხალხი ფიზიკურ და სულიერ განადგურებას დედამ გადაარჩინა, ქართვლის დედამ, რომელიც მამულს უზრდიდა შვილსა. მრავალშვილიანობა არანაკლებ საჭიროა დღეს, ვიდრე წარსულში. მე ერთხელ უკვე ვთქვი კომკავშირელებთან შეხვედრისას და ახლაც გავიმეორებ: მრავალი შვილი მუშათა



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

კლასის მრავლობაა, მრავალი შვილი ბევრი მიწის მუშაა, მრავალი ინჟინერი და აგრონომია. მრავალი მეცნიერი და შემოქმედია, მრავალი ჯარისკაცი და გენერალია; მრავალი შვილი ჩვენი ხალხების ურღვევი კავშირის ძლიერებაა, მრავალი შვილი საქართველოს უკვდავებაა.

მინდა გისურვოთ, მეგობრებო, ნამუსიანად მოგეხადოთ ვალი სამშობლოს წინაშე, ჩვილთა ჭყლოპინი, ბავშვთა ტიტინი — ეს საოცარი სიმფონია ხალხის დღეგრძელობისა, მარადისობისა, კიდევ უფრო მრავალ ხმაზე ჟღერდეს მრავალ ოჯახში.

მე დამამახსოვრდა პოეტ მორის ფოცხიშვილის ერთი ლექსი, რომელიც დაახლოებით ასეთი შინაარსისა იყო: შემეჯიბრეთ, ვისაც გნებავთ სამშობლოს სიყვარულშიო. თუ პოეტურ ნათქვამს პირდაპირ გავიგებთ, მე პირადად ასეთ შეჯიბრებას მხარს ვუჭერ, მხოლოდ იმ ცნებათა ფარგლებში, რომელთა შესახებაც ზემოთ მოგახსენეთ.

შეეჯიბრეთ ერთმანეთს სწავლასა და შრომაში, შეეჯიბრეთ — ვინ მეტ წვლილს შეიტანს სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარებაში, მეცნიერების წინ წაწევაში, შეეჯიბრეთ ძმობისა და მეგობრობის განმტკიცებაში, სიკეთის თესვაში, ბოროტების დათრგუნვაში, შეეჯიბრეთ მაღალი ზნეობისა და წმინდა მორალის დამკვიდრებაში, შეეჯიბრეთ კომუნიზმის ერთგულებაში, სამშობლოსათვის თავდადებაში.

და დასასრულ:

სამშობლოსადმი ნამდვილ თავდადებას და სიყვარულს არაფერი აქვს საერთო ქვეყნისათვის „თავშეწირულთა“ თამაშთან. ამ საზეიმო წუთებშიც უნდა ვთქვა: დიდ გულისწყრომას იწვევს, როცა ქვეყნის პატრონობას, მის ქომაგობას ჩემულობს პიროვნება, რომელსაც კაპიკის საღირალი არაფერი შეუქმნია და ვერც შექმნის.

ასეთებს საკუთარი პერსონის განდიდების წყურვილი უფრო აწუხებთ, ვიდრე სამშობლოს ინტერესები.

სამშობლო ის განძი არ არის, ერთეულ ხელმოცარულთა პატივმოყვარეობის დაოკების საგნად რომ გამოდგეს.

სამშობლოს პატრონი მუშა კაცია, ვინც ფუტკარივით შრომობს, ფიზიკურად თუ გონებრივად, ქვეყნისა და ხალხის სასიკეთოდ.

შეეჯიბრეთ ერთმანეთს აკვანთა სიმრავლეში, ღირსეულ მამულიშვილთა აღზრდაში!

ჩვენ კი, კომუნისტები, თქვენი მამები და დედები, მსაჯულნი ვიქნებით ამ ისტორიული შეჯიბრებისა, ზრუნვას და დახმარებას არ მოგაკლებთ, თქვენთან ვიქნებით ჭირსა და ლხინში, რამეთუ თქვენ ხართ ჩვენი ცხოვრების მიზანი და იმედი ხვალისა.

ბედნიერი, მშვიდობიანი შრომის და მშვიდობიანი ბრძოლის წელი დაკვებებოდეს საქართველოს ყველა მშრომელს, ბედნიერი ყოფილიყოს თქვენთვის ახალი წელი, ძვირფასო ქალიშვილებო და ჭაბუკებო!

მარიკა ბარათაშვილი

## ჰიმნი დედობას

შენ მართლაც მდიდარს,
ლამაზს,
მაღალს,
მართალს,
გონიერს,
დიდედის ეშხი შარავანდად
რომ დაგყოლია,
შენს ბედს შევნატრი
განა მირაჟს — რამე ნამიერს,
შენი სიცოცხლის გაგრძელებას
მრავალჟამიერ...

—
ო, რა სიუხვე გიწყალობა
ბედის გამრიგემ,
რომ პირმშოებში უშურველად
ჩამოარიგე:
ზოგს შენი ეშხი,
გონი,
ლიმი,
ზოგს ხასიათი...
რომ შემდეგ, სადღაც, შვილთაშვილში
გამოკიაფდე.

სასწაულია! — სხვა რა ვარქვა,
თუ არ მისნობა,
შთამომავლობას რომ გაჰყვები
მარადისობად.
ვიზრდებით, ვხარობთ და ვნათელობთ
შენით, შენს მიერ...
შენ გვიდღეგრძელე საქართველო
მრავალჟამიერ!...

# მშვიდობისათვის ბრძოლის ავანგარდში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალაქ ოსლოს ტელეეკრანზე მოჩანს საშუალო ასაკის სანდომიანი გარეგნობის ქალი, რომელიც აღელვებული ხმით მოუწოდებს მთელი სკანდინავიის ქალებს მონაწილეობა მიიღონ დასავლეთ ევროპაში ახალი ამერიკული ბირთვული რაკეტების განლაგების საპროტესტო მარშში. გავიდა ორი თვე და უბრალო ნორვეგიელი ქალი ევა ნურდლანდი (სწორედ ის გახლდათ მოწოდების ავტორი) სათავეში ჩაუდგა კოლონას, რომელმაც ფეხით მოიარა დანიის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ჰოლანდიის, ბელგიის, საფრანგეთის ქალაქები და სოფლები, ჩამოვიდა ჩვენს ქვეყანაშიც. ამ არნახულ ანტიმილიტარისტულ მსვლელობაში მონაწილეობა მიიღო თითქმის ყველა პროგრესულმა ქალთა ორგანიზაციამ...

ვაშინგტონში, თეთრი სახლის წინ, ავტომანქანების სადგომი უკავია ქალთა პიკეტს, ხაბავშვო გორგოლაჭებით და ტრანსპარანტებით, რომლებზეც ასეთი წარწერაა: „მშვიდობა ბავშვებს და არა ბირთვული ბომბები“...

„აქცია პენტაგონთან“ — ასე ეწოდა ორიათას ქალიან დემონსტრაციას, რომელიც პენტაგონის წინ, სამხედრო უწყების შესასვლელთან შეიკრიბა, რათა ბირთვული ომის სტრატეგებისათვის გაეცნო ამერიკელ ქალთა პოზიცია. დემონსტრაციის მონაწილეთა განცხადებაში აღნიშნული იყო: „ჩვენ პენტაგონთან იმიტომ შევიკრიბეთ, რომ საფრთხეშია ჩვენი პლანეტა, საფრთხეშია ჩვენი სიცოცხლე, საფრთხეშია ჩვენი მომავლის — ბავშვების სიცოცხლე...“

ინდოელ ქალთა ეროვნული ფედერაციის უკანასკნელი ყრილობის რეზოლუციაში პირდაპირ აღინიშნა, რომ — „ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხისათვის კატასტროფულ საფრთხეს შეიცავს ევროპაში ამერიკული ბირთვული რაკეტების განლაგების გადაწყვეტილება.“ თავისი არსებობის ისტორიაში ყრილობა პირველად გასცდა ვიწრო სოციალურ ჩარჩოებს და ზოგადსაკაცობრიო პრობლემებით დაინტერესდა...

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ყოველ წელს ტარდება „დედის დღე“ ავსტრალიის ქალაქ სიდნეიში, რომელიც ცენტრალურ მოედანზე მასობრივი მიტინგით მთავრდება. წლეულს სწორედ ამ მოედანზე მიიღეს ავსტრალიელმა ქალებმა მიმართვა საკუთარი მთავრობისადმი. ეს არ იყო ტრადიციულ ფემინისტურ ტონებში შედგენილი პეტიცია ან თხოვნა; დოკუმენტი კატეგორიულად სვამს მთავრობის წინაშე ამერიკასთან მილიტარისტული კავშირის გაწყვეტის საკითხს.

შარშან, მასში საბჭოთა ქალების კომიტეტი ახალგაზრდა ინგლისელ ქალთა დელეგაციას იღებდა. ინგლისელმა სტუმრებმა ყველა ინგლისელი ახალგაზრდა დედის სახელით, რომელნიც გაერთიანებულნი არიან მშვიდობისათვის მებრძოლ ორგანიზაციებში, ინგლისელ, ამერიკელ და საბჭოთა ახალგაზრდა დედებს შორის კონტაქტების გაფართოების წინადადება წამოაყენეს, და ეს მაშინ, როდესაც ტეტჩერის მთავრობა ყოველმხრივ ცდილობს მშვიდობისათვის მებრძოლთა რიგების გათიშვას...

სულ უფრო და უფრო აქტიურად იბრძვიან საკუთარი მთავრობის მილიტარისტული პოლიტიკის წინააღმდეგ იაპონელი ქალები. პარლამენტის უკანასკნელ არჩევნებში იაპონელ ქალთა ორგანიზაციების ლოზუნგი ასეთი იყო: „ყოველი ქალის ხმა — მშვიდობის საქმეს!“

1980 წლის შემოდგომაზე ჰელსინკში თავი მოიყარა ევროპის სოციალ-დემოკრატ ქალთა დელეგაციებმა სემინარზე — „ქალის როლი მშვიდობისათვის ბრძოლაში“. სემინარის მონაწილეებმა ერთსულოვნად დაგმეს ევროპაში ახალი ბირთვული ამერიკული რაკეტების განლაგების იდეა. გასულ წელს კი უკვე პრაღაში შედგა ქალთა მსოფლიო კონგრესი დევიზით — „თანასწორუფლებიანობა, ეროვნული დამოუკიდებლობა, მშვიდობა“.

კიდევ მრავალი ანალოგიური ფაქტის მოყვანა შეიძლება; ჩვენს თანამედროვეობაში ქალთა მოძრაობას უდიდესი წვლილი შეაქვს მშვიდობისა და დაძაბულობის განმუხტვისათვის მსოფლიოს პროგრესულ ძალთა ბრძოლაში.

მშვიდობისათვის, დემოკრატიისათვის და სოციალური პროგრესისათვის ქალთა მოძრაობა იმ მოღვაწეობის საფუძველზე წარმოიშვა, მსოფლიოს ქალები თავიანთ ქვეყნებში რომ ეწევიან დემოკრატიული საზოგადოებრიობის, პროფკავშირების, ქალთა ორგანიზაციების, ეროვნულ-განმანთავისუფლებელი და კომუნისტური მოძრაობის რიგებში.

მრავალი ფორმა აქვს ქალთა დემოკრატიულ მოძრაობას: საერთაშორისო აქციები, რეგიონული და ეროვნული ღონისძიებები, გარკვეული პროგრამების წამოყენება და მასების მობილიზაცია მათს განსახორციელებლად, სხვადასხვასახის მასობრივი გამოსვლების ორგანიზაცია, რეფორმებისა და საპარლამენტო კანონმდებლობათა შემუშავებაში მონაწილეობა, მწვავე საერთაშორისო კონფლიქტებისა და პრობლემათა გადაჭრის ხელშემწყობ ღონისძიებებში აქტიური მონაწილეობა და სხვ.

დღითიდღე იზრდება მშრომელ ქალთა როლი ეკონომიკურ, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. სწორედ უკანასკნელი ფაქტის გათვალისწინებით ქალთა მოძრაობის აქტუალურ პრობლემებს დიდ ადგილს უთმობენ საერთაშორისო კომუნისტური, პროფკავშირული და სხვა მასობრივი დემოკრატიული ორგანიზაციები. მეორე მხრივ, დღეს, იმპერიალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის ეპოქაში, უპრეცენდენტო სიმაღლეს მიაღწია ქალთა მოძრაობამ კაპიტალის ქვეყნებში, იგი უკვე იქცა ქმედით, რეალურ ძალად პოლიტიკურ არენაზე, მსოფლიო რევოლუციური პროცესის ერთ-ერთ დინამიკურ ნაკადად. ამავე დროს ფაქტია, რომ ქალთა მოძრაობა მხოლოდ იმ შემთხვევაში მიაღწევს რეალურ შედეგებს, თუ ორგანულად შეერწყმება საერთაშორისო მუშათა და დემოკრატიულ მოძრაობას და არ განემიჯნება მას. ამისათვის კი საჭიროა სწორი პოზიცია, დიდი პოლიტიკური შეგნება, მოქალაქეობრივი ვაჟკაცობა, რაც ხშირად ძნელად მისაღწევია კაპიტალისტურ ქვეყ-

წებში, სადაც რეაქციული აზრი მძიმე ტვირთად აწევს ქალთა შეგნებას, ცდილობს მხოლოდ ოჯახითა და სახლით შემოფარგლოს იგი, „წმინდა ქალური“ პრობლემები გამოიყენება სოციალური ამოცანებისაგან, მშვიდობისა და განიარაღებისათვის ბრძოლის საქმიდან ქალის ჩამოსაცილებლად. ამგვარი პოზიცია ბევრ თეორიულ „საყრდენს“ იყენებს; ზოგიერთი დასავლელი მკვლევარის მტკიცებით, პოლიტიკა და ქვეყნის მართვა კაცების საქმეა, რადგან კაცი უფრო მკაცრი და მოხერხებულია, ხოლო ქალი კი სათნო და კეთილია, ამიტომ მისი საქმე მხოლოდ ბავშვების აღზრდა და სახლზე ზრუნვაა. აღსანიშნავია, რომ სწორედ ასეთი ყალბი არგუმენტები მოიშველიეს ამერიკის ბევრი შტატის კანონმდებლებმა, როდესაც შარშან ზაფხულს უარყვეს ქალთა თანასწორუფლებიანობის კანონპროექტები. ამერიკელ ქალთა მდგომარეობას ასეთი ფაქტებიც მეტყველებს: — წლეულს მომუშავე ქალთა რაოდენობამ პირველად გადააჭარბა დიასახლისთა რაოდენობას, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მთელი მომუშავე ქალების მხოლოდ 6 პროცენტს უკავია მეტ-ნაკლებად ხელმძღვანელი თანამდებობები. 80 პროცენტი კვლავინდებურად დასაქმებულია „ქალთა სამუშაო ადგილებზე“. ესენი არიან ტექნიკური მდივნები, გამყიდველები და ოფიციანტები. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ აქ ქალის ხელფასი 59 პროცენტით ნაკლებია კაცის ხელფასზე. ამერიკელ მომუშავე ქალთა მხოლოდ 17 პროცენტია გაერთიანებული პროფკავშირებში. მაგრამ ასეთი ხელოვნური ბარიერი ვერ აბრკოლებთ და ამერიკელი ქალები დღეს აქტიურად იბრძვიან მშვიდობის დამცველთა რიგებში.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ, საფრანგეთში ერთ-ერთი პირველი საერთაშორისო ღონისძიება იყო 1945 წლის 26 ნოემბერს პარიზში გახსნილი ქალთა კონგრესი, რომლის მუშაობაში 841 დელეგატი მონაწილეობდა 42 ქვეყნიდან და 181 ორგანიზაციიდან. კონგრესმა განიხილა დემოკრატიისა და მშვიდობისათვის ბრძოლაში მსოფლიოს ქალების წინაშე მდგომი ამოცანები. სწორედ პარიზის კონგრესის გადაწყვეტილებები დაედო საფუძვლად ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის მოღვაწეობის პროგრამას. მას შემდეგ ფედერაცია მტკიცედ დგას მსოფლიოს ქალთა პროგრესული მოძრაობის ავანგარდში. სამეცნიერო-ტექნიკურმა რევოლუციამ კიდევ უფრო განამტკიცა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალთა როლის ზრდის პროცესი. კაპიტალისტური სამყაროს მესვეურთა ყოველგვარი ცდა ამაოა, ქალთა მოძრაობა კარგა ხანია გასცდა წმინდა ფემინისტური მოძრაობის ჩარჩოებს და თვისობრივად ახალ საფეხურზე ავიდა.

თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის გათვალისწინებით, ბუნებრივია, რომ ქალთა დემოკრატიული მოძრაობის ყურადღების ცენტრში სისტემატურად იმყოფება ომისა და მშვიდობის პრობლემა. დღეს, როდესაც კაცობრიობის არსებობა მშვიდობისათვის ბრძოლის ეფექტურობაზეა დამოკიდებული, ბირთვული კატასტროფის საფრთხის წინააღმდეგ მსოფლიოს ქალების ბრძოლა არნახული მასშტაბებისა გახდა. 1979 წლის აპრილში ქალთა საერთაშორისო დემოკრატიულმა ფედერაციამ მოუწოდა მსოფლიოს ქალებს მტკიცედ იბრძოლონ განიარაღებისა და მშვიდობის შენარჩუნებისათვის. მოწოდებაში აღნიშნულია, რომ „მშვიდობა მსოფლიოს მილიონობით ქალის უმაღლესი მიზანია, ურომლისოდაც შეუძლებელია ქალების კანონიერი უფლებებისა და მათი შვილების ბედნიერი მომავლის დაცვა“.

ქალთა და ბავშვთა საერთაშორისო წლების ჩატარებით კიდევ უფრო გააქტიურდა ქალთა ასობით ეროვნული ორგანიზაციის ანტისაომარი მოღვაწეობა. დღეს ქალთა საერთაშორისო ორგანიზაციები მტკიცედ მოითხოვენ ახლო აღმოსავლეთისა და მსოფლიოს სხვა „ცხელი წერტილების“ პრობლემის გადაწყვეტას, განიარაღებაზე მსოფლიო კონფერენციის მოწვევას, სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვაზე საბჭოთა კავშირ-ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ხელმოწერილი მეორე ხელშეკრულების რატიფიკაციას, გამალებული შეიარაღების ალაგმვას. ერთი სიტყვით, ქალთა საერთაშორისო მოძრაობამ მტკიცედ დაიმკვიდრა ადგილი მშვიდობისა და პროგრესისათვის ბრძოლის ავანგარდში.

სოსო ცინცაძე

# მრავალი შვილი

# გამრავლდით!

ირაკლი აბაშიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდად მისასალმებელია, რომ ჟურნალი „საქართველოს ქალი“ ერთი პირველთაგანი ეხმაურება ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ამ მეტად მტკივნეულ საკითხს, ჩვენი ხალხის გამრავლების საკითხს. „საქართველოს ქალის“ ეს ნაბიჯი მე მის სავსებით ბუნებრივ ნაბიჯად მიმაჩნია; ეს საქმე მისი პირველი მოწოდებისა და ღირსების საქმეა, მისი ღვიძლი საქმეა. ჟურნალი ალბათ მარტო აგიტაციით არ დაკმაყოფილდება და თავის ფურცლებს დაუთმობს საქმიან საუბრებსაც, ვთქვათ, ჩვენი მოსახლეობის მიმართ, საექიმო და პედაგოგიური კონსულტაციებისა თუ სხვა მრავალგვარი დახმარების საკითხებზე.

ამასწინათ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმზე ჩვენ მოვისმინეთ სპეციალისტთა მოხსენებები, ჩვენი პლანეტის დემოგრაფიულ პრობლემებზე და ყველა ჩვენგანზე მძიმე, მეტად დამაფიქრებელი შთაბეჭდილება მოახდინა საქართველოს სინამდვილემ. საბჭოთა კავშირის რესპუბლიკათა შორის გამრავლების საქმეში ჩვენი ადგილი დაუყოვნებელ ღონისძიებებს მოითხოვს, საზოგადოებრივსაც და სახელმწიფოებრივსაც. ამით აიხსნება ამხანაგ ედუარდ ამბროსის ძე შევარდნაძის უკიდურესად დროული სიტყვაც, ერის გამრავლების საკითხზე, რომლითაც მან მიმართა ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის უკანასკნელი ყრილობის მონაწილეებს.

სულ ახლახან, სულ გუშინწინ, სულ ჩემი ყმაწვილკაცობის წლებში საქმე სულ სხვაგვარად იყო. მე ჩემს სოფელში უამრავ მრავალშვილიან, მრავალრიცხოვან ოჯახს ვიცნობდი. ისინი ჩემი მეზობლები იყვნენ. ტიტლიკანა, ფეხშიშველა ბიჭები და გოგონები დარბოდნენ სოფლის ეზოებსა და ორღობეებში, მჭადითა და ყველით, ხშირად მხოლოდ პრასითა და ბოლოკით ხელში, საყვარელ ძაღლებთან და ხბორებთან ერთად, ჟივილ-ხივილითა და სიცილ-კისკისით, ზოგჯერ შიმშილით აცრემლებულნი, ზამთრის ყინვით წითლად ლოყებ-დახეთქილნი, ზაფხულის სიცხით გაოგნებულნი. ხში-

# საქართველოს უკვდავებაა!..

ელექტრონული ბიბლიოთეკა



რად, ძალიან ხშირად მათი სახელები თავიანთ მშობლებსაც კი ეშლებოდათ, არამც თუ მეზობლებსა და მტერ-მოყვარეთ. ხშირად შევხვდებოდით ზედმეტ სახელს „არმინდოდი“... აღარ უნდოდათ, მეტისმეტი იყო, მეტისმეტი მრავალი ასეთი ოჯახის მატერიალური შესაძლებლობის პირობებში.

რაღა შორს წავიდე, მე ჩემი მშობლების თოთხმეტი შვილიდან მეთორმეტე ვარ. ჩვენ თითქმის ასი წლის გრძელ მანძილზე ვიარეთ ამ ჩვენს მიწაზე და ვაკეთეთ ჩვენი და ჩვენი ქვეყნის საქმეები. ვიარეთ ამ ჩვენს მიწაზე და ვამრავლეთ მისი მოდგმა და ჯიში. ვიარეთ ზოგმა მასწავლებლად, დაწყებით, საშუალო ზოგად-საგანმანათლებლო სკოლებში, სოფლად თუ ქალაქად; ზოგმა მკურნალად, ჩვენი ქვეყნის მშვიდობიან წლებში თუ ომის მრისხანე დღეებში, შავი ზღვიდან მოყოლებული თვით ბერლინამდე, ზოგმა აფთიაქრად, ზოგმა პოეტად. ვიარეთ საიდან სად, სწორედ საიდან სად... ერთმა ჩვენგანმა ჩრდილოეთის პოლუსს მიაღწია თავის ახალგაზრდობაში და იქ მაშინ საქვეყნოდ გახმაურებულ „ჩელუსკინის“ გადარჩენის ეპოპეაში მიიღო მონაწილეობა, ზუსტად ამ ნახევარი საუკუნის წინ.

ვიარეთ თითქმის ასი წლის მანძილზე და ვიყავით და-ძმობით ბედნიერნი. ამ მრავალრიცხოვან და-ძმათაგან მართალია ორნიღა დავრჩით, ერთი თითქმის ოთხმოცდაათს მიღწეული, მაგრამ მრავლდებიან და მრავლდებიან ჩვენი შთამომავლები.

მრავლდებოდა ჩვენი ხალხი, მრავლდებოდა საქართველო ყოველგვარი მოწოდების გარეშე; ყოველგვარი ხელშეწყობის გარეშე; ყოველგვარი პატრიოტული ჩაგონების გარეშე; ყოველგვარი სიდუხჭირის გარეშე და მიუხედავად...

მაშ, რა მოგვივიდა?

ახალგაზრდა მშობლებო! რატომ უკარგავთ, რატომ ართმევთ თქვენს შვილებს და-ძმობის ტკბილ ბედნიერებას? ძმას და უნდა ჰყავდეს და დას — ძმა: დებს ძმები უნდა ჰყავდეთ, და ძმებს დები, პირველი ამქვეყნიური ბედნიერებაც ეს არის, განგებას ასე გაუჩენია.

ახალგაზრდა მშობლებო, რატომ იმართლებთ თავს თვითონ თქვენს წინაშეც და ქვეყნის წინაშეც, რაღაც ობიექტური მიზეზებით? განა შეედრება ეს „ობიექტური მიზეზები ჩემი ბავშვობისა და ყმაწვილკაცობის დროინდელ „ობიექტურ მიზეზებს?“

ახალგაზრდა დედებო და მამებო, გამრავლდით!



ეროვნული ბიბლიოთეკა

ირ. ფაღავა,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი.

# მნიშვნელოვანი პრობლემა

ძველთაგანვე ცნობილია ქართველი ხალხის შესანიშნავი და ამასთან გამძლე კომპლექსი. საუკუნეთა განმავლობაში საქართველო ცნობილი იყო, როგორც „მზეთუნახავთა ორანჟერეა“ (ი. კანტი), ამასთან დაკავშირებით, ძალაუნებურად „აღმოსავლეთის გამამშვენიერებელი“ (ჩ. დარვინი) და კრიტიკულ სიტუაციებში „აბსოლუტური გონის განმახორციელებელი“ (გ. ჰეგელი). ამის დადასტურებაა თუნდაც ის ფაქტი, რომ უკვე VII საუკუნის პირველ ნახევარში „მოსახლეობა აღწერეს ქართლის ქვეყანაში“. საყურადღებოა, რომ XVII საუკუნეში, ამ განსაკუთრებულად ძნელბედობის პერიოდში, ანალოგიური ღონისძიება ტარდება შვიდ წელიწადში ერთხელ. ცნობილი ფსიქოლოგი და ფსიქიატრი კ. იუნგი, რომელიც ქართველებს მიიჩნევდა მატრიარქალურ არქეტიპის ხალხად, აღნიშნავდა, რომ ფიზიკური განადგურების პერმანენტურ საფრთხეს ეს ერი რეაგირებდა ცნობიერი და ქვეცნობიერი რაციონალური მექანიზმებით, მათ შორის, შობადობის მაღალი პოტენციით, მიუხედავად ოჯახთა არც თუ სახარბიელო მატერიალური უზრუნველყოფისა და თითქმის უწყვეტი უარყოფითი ემოციებისა. აღსანიშნავია, რომ რუსეთის საქართველოსთან დამოყვრებისას აქ მცხოვრებთა რაოდენობა კატასტროფიულად მინიმალური იყო (650 ათასი). ჩვენ აღარ შევჩერდებით მომდევნო პერიოდების დემოგრაფიულ სიტუაციებზე; ამ საკითხზე საკმარისად არის ლიტერატურა. (პ. გუგუშვილი და სხვ.), აღვნიშნავ მხოლოდ, რომ უკანასკნელი ათეული წლების განმავლობაში ქართველთა შორის, ისევე, როგორც სხვა ძველთაგანვე ცივილიზებულ ხალხთა შორის აღინიშნება შობადობის შემცირებისაკენ ტენდენცია. საქართველოს ოც რაიონში (ამბროლაური, ყაზბეგი, ცაგერი, ლანჩხუთი და სხვ.) შობადობის დონე მინიმალურია, ხოლო ონში, ჩოხატაურში და მესხეთ-ჯავახეთის ქართულ პოპულაციებში ყოველწლიურად კლებულობს.

საბჭოთა სახელმწიფო თანმიმდევრულად ახორციელებს მოსახლეობის მატებისათვის ხელშესაწყობ პირობებს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა საქართველოს კომპარტიის ცენტ-

რალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ე. შევარდნაძემ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ჩვენს რესპუბლიკაში კომპლექსური დემოგრაფიული პოლიტიკის ოპტიმიზაციას.

მარქსიზმის კლასიკოსები მიუთითებდნენ, რომ „რაციონალური მარცვალი“ შეიძლება ნახულ იქნეს როგორც წარსულ ფორმაციებში, ისე თანამედროვე სოციალურ-პოლიტიკურად ანტაგონისტურ ქვეყნებშიც. საფრანგეთში, სადაც შობადობის შემცირებამ ეროვნული ტრაგედიის ხასიათი მიიღო, მდგომარეობის გამოსწორებისათვის ჩატარებულ ღონისძიებათა კომპლექსში, რომელმაც მნიშვნელოვანი შედეგი გამოიღო, ყურადღება გამახვილდა მედიკო-ფსიქოლოგიურ ასპექტზეც. ამის ერთი დადასტურებაა ის ფაქტიც, რომ პარიზის პედიატრიის აკადემიაში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ბავშვის ფსიქო-სექსუალურ განვითარებას არა მარტო მომწიფების პერიოდში, არამედ მის წინა ასაკებშიც.

როგორც ჩვენი რესპუბლიკის პერიოდულ და მეცნიერულ ლიტერატურაში გამოქვეყნებული მასალებიდან ჩანს, უკანასკნელი წლების განმავლობაში განსაკუთრებით მატულობს გაყრის შემთხვევები. ყურადსაღებია ის გარემოება, რომ ახლადშექმნილი ოჯახის დაშლა დიდ უმეტეს შემთხვევაში პირველსავე წელს ხდება და გაყრის ინიციატორი უმეტესად ქალია „ხასიათის შეუთავსებლობის“ არგუმენტით. ვფიქრობთ, გულისხმიერი მკითხველი მიხვდება, რომ ამ არგუმენტის მიღმა სხვა ფაქტორებიცაა, რომელსაც სასამართლოში ჩქმალავს ქალის ეთიკური ნორმები. როგორც უახლოესი, ზუსტი მეცნიერული დაკვირვებებით აღმოჩნდა, ახალგაზრდა ცოლ-ქმართა დისკომფორტი, რომლის მიზეზი მეტწილად მამაკაცია, თავის საწყისებს იღებს არა მარტო გარდამავალ ან სქესობრივი მომწიფების პერიოდში, არამედ გაცილებით ადრე. ჯერ კიდევ ჩვილობის ასაკში. მკითხველის ყურადღებას შევაჩერებთ მხოლოდ ზოგიერთ მათგანზე.

სადღეისოდ მთელ რიგ ცივილიზირებულ ქვეყნებში ხშირდება ხელოვნური კვება და ზოგიერთ მეცნიერს ეს ეკოლოგიურ უბედურებად მიაჩნია. ცნობილი ფრანგი პედიატრი მარფანი წერდა, რომ მსოფლიოს ულამაზესი ქართველი ქალები თავის იერს იმით ინარჩუნებენ რომ შვილებს ძუძუთი ზრდიანო. მოხდა პარადოქსული ამბები — ქართველ ქალთა დიდი რაოდენობა ბავშვებს ძუძუს აღარ აწოვებს, მაშინ, როდესაც ფრანგი ქალი ბუნებრივ კვებას დაუბრუნდა.

შეიძლება დაისვას კითხვა — რა მნიშვნელობა აქვს ბუნებრივ კვებას, ე. ი. ძუძუს წოვებას, შემდეგში, სქესობრივი მომწიფების პერიოდში ფსიქო-ბიოლოგიურ მდგომარეობაზე? — ფრანგი მკვლევარების ზუსტი მეცნიერული გამოკვლევებით დადასტურდა რიგ ფსიქოლოგთა ემპირიული მოსაზრება, რომ მამაკაცის ფსიქო-ბიოლოგიური კომპლექსის ჩამოყალიბება იწყება იმ პერიოდში, როდესაც ბავშვი ძუძუს წოვს. შვეიცარიაში, გარდა იმისა, რომ შობადობა ძლიერ დაბალია, შეინიშნება იმპოტენციის გახშირების ტენდენცია და, ასეთ მამაკაცთა უმრავლესობა ხელოვნური კვებით არის გაზრდილი. ბუნებრივია, ისმის კითხვა — რით აიხსნება ხელოვნური კვების გახშირება. რასაკვირველია არ არის არავითარი კორელაცია დედის კვებასთან ან სხვა მატერიალურ დეფიციტთან. მთელი რიგი და მათ შორის ჩვენი სპეციალური გამოკვლევებით (ანონიმური ანკეტები) ირკვევა, რომ ხელოვნური კვების დროს ხშირად საქმე გვაქვს ქმრის უყურადღებობასთან ამ სიტყვის ფართე გაგებით; მანდილოსანი ამბივალენტური არსებაა—მას სურს ქალობაც და დედობაც, რომელი ინსტიქტი უფრო მძლავრია? — დედების უმეტესობა, რასაკვირველია, იტყვის, რომ თავისი შვილი უფრო უყვარს, ვიდრე ქმარი, ცხადია, ეს ეთიკის დონეა, მაგრამ თუ ჩავწვდებით ქვეცნობიერის ნაპრალებს, ეს ყოველთვის ასე როდია...

და ბოლოს, ხელოვნური კვების გახშირებაში გარკვეული ბრალი ედებათ ექიმებსაც, რომლებსაც ხშირად გაუგებარი მიზეზით ახალშობილი გვიან მიჰყავთ დედასთან, ბევრს ბავშვის ჯანმრთელობის კრიტერიუმად წონა მიაჩნია. არიან ისეთი „სახელმოხვეჭილი პედიატრებიც“, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ხელოვნური კვების დროს ბავშვს კარგი (დიდი) წონა აქვს, განავალი — ნორმალური, დიდხანს სძინავს, არ ჰირვეულობს. უნებლიედ მაგონდება გოეთეს სიტყვები — „გამაძღარი ცხოველი საშინლად სულელდება“.

გარდამავალ ანუ პუბერტალურ პერიოდში ვლინდება ე. წ. „დედის დეფიციტის“ გავლენა ფსიქო-სექსუალურ სფეროზე. ცნობილმა მეცნიერმა ჰარლოუმ შემდეგი დაკვირვებანი ჩაატარა: ახალშობილ მაიმუნებს მოაცილა დედა და მათი აღზრდა დაავალა ექსპერიმენტატორებს, რომლებიც მაიმუნებს წესიერად, კალორაჟის დაცვით კვებავდნენ, იცავდნენ ჰიგიენურ რეჟიმს. ამის გამო მაიმუნთა ბიოლოგიური განვითარება სავსებით ნორმალური იყო: დადგა შთამომავლობის გაგრძელების დრო, მაგრამ... უშედეგოდ: თითქმის ყველა მათგანი იმპოტენტი აღმოჩნდა. სხვათა შორის, ამ გამოკვლევებმა ნობელის პრემია დაიმსახურა. შეიძლება დაბეჯითებით ითქვას — ვერც ერთი ბებია ან შინაბერა მამიდა და დეიდა ვერ შეცვლის დედას, განსაკუთრებით სკოლამდელ პერიოდში.

გარდამავალ ასაკში, თითქმის არ ისწავლება წინა პერიოდებში გადატანილი სხვა-დასხვა დაავადებების გავლენა სქესობრივი მომწიფების მიმდინარეობაზე, მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ აღინიშნება რიგ დაავადებათა ქრონიზაცია, რაც გარკვეულ გავლენას უნდა ახდენდეს ფსიქო-სექსუალურ სფეროზე. ჩვენთვის ჯერ კიდევ ნაკლებად არის ცნობილი სხვადასხვა ეფექტური მედიკამენტის გავლენა სასქესო სისტემის განვითარებაზე და ფუნქციაზე: არ კმარა ადამიანი დავტოვოთ მხოლოდ სიცოცხლის უნარიანი, იგი უნდა დარჩეს ცხოვრების უნარიანი ფსიქოლოგიური და სექსუალური თვალსაზრისითაც.

მთელი რიგი მეცნიერები მიუთითებენ ბავშვთა აღზრდის ოპტიმიზაციას სასკოლო პერიოდში; ქალის სოციალური ემანსიპაცია, სრულიად არ ნიშნავს მათ ბიოლოგიურ და ფსიქოლოგიურ თვისებათა მამაკაცებთან გაიგივებას. ქალ-ვაჟის აღზრდა საჭიროებს მათ ფსიქო-სექსუალურ თავისებურებათა გათვალისწინებას. სამწუხაროდ, სკოლებში ამას თითქმის ყურადღება არ ექცევა. საქართველოს მასწავლებელთა მეხუთე ყრილობა, რომელიც ეხლახან ჩატარდა, უდაოდ მაღალ დონეზე იდგა, მაგრამ არაფერს წააგებდა, რომ მასში მონაწილეობა ექიმებსაც მიეღო. უნდა შევახსენო მკითხველს, რომ ისეთი დიდი პედაგოგები, როგორებიც იყვნენ — ჯ. ლოკი, მ. მონტესორი, ნ. პიროგოვი, ერთდროულად შესანიშნავი ექიმებიც გახლდნენ. პედაგოგთა და ექიმთა კომპლექსური მუშაობა აუცილებელი პირობაა ადამიანის ჰარმონიული პიროვნების ჩამოყალიბებისათვის, რომელშიც იდეა და მატერია განუყოფელ მთლიანობაშია.

ვფიქრობთ, ისევ დაისვას საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად მართებულია ქალ-ვაჟთა ერთად სწავლება. განსაკუთრებით სქესობრივი მომწიფების პერიოდში.

პედაგოგთა შორის ამ მხრივ სხვადასხვა მოსაზრებანია. ჩვენ მაინც ვემხრობით მათ, რომლებიც მიუთითებენ, რომ „მომწიფების პერიოდში ქალ-ვაჟთა ერთ მერხზე ჯდომისას იხარჯება ის ენერგია, რომელიც შემდეგ საჭიროა ჰარმონიული ცოლ-ქმრული დამოკიდებულებისათვის“. მინიმალურია მამაკაცი მასწავლებლების რაოდენობა ჩვენს სკოლებში. საჭიროა პედაგოგიურ სასწავლებლებში მიღების დროს უპირატესობა მამაკაცებს მიეცეთ.

ამხანაგ ე. შევარდნაძემ ერთ-ერთ გამოსვლაში შესანიშნავად მიუთითა, რომ „მოზღვავებულ ენერგიას რაციონალური რეალიზაცია ესაჭიროება“. არავითარ კამათს არ იწვევს, რომ ფიზკულტურა აუცილებელია ყველა ადამიანისათვის. სპორტის სხვადასხვა სახეობა კი მოითხოვს ინდივიდუალურ მიდგომას.

დაბოლოს, სამწუხაროა, რომ აღინიშნება ვულგარულ-მატერიალისტური მიმართების ტენდენცია ჩვენს ახალგაზრდებში. ამ რამდენიმე წლის წინათ 13-15 წლის ბავშვებს ვუჩვენებდი ვეფხისტყაოსნის შესანიშნავ გამოცემებს და სამკაულს. რას აირჩევდით-მეთქი? — სამწუხაროდ უმრავლესობამ სამკაული აირჩია. საინტერესოა, რომ თითოეული მათგანი ზედმიწევნით მატერიალურად უზრუნველყოფილ ოჯახთა ერთად-ერთი შვილი გახლდათ.

ადამიანის იდეურ ფასეულობათა შორის, ვფიქრობთ ყველაზე ძვირფასი ეროვნული გრძნობაა. ეჭვი არ არის, რომ რესპუბლიკის ხელმძღვანელობა, მეცნიერება, ხელოვნება და, რაც მთავარია ყოველი მოქალაქე გააკეთებს ყველაფერს, რათა მარადიული იყოს ის ხალხი — „ოდითგანვე რომ აფასებს კაცურ კეთილშობილებას, შთაგონებულ შრომას, მხედრულ ვაჟკაცობას და ერთგულ მეგობრობას“. (ლ. ი. ბრეჟნევი).



ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხრან მაჭავარიანი

# ყველასადმი

— აფსუსი არ არის „ვეფხისტყაოსნის“ ელვარებას მხოლოდ ერთი მუჭა ხალხი გრძნობდეს?!

აფსუსი არ არის, გურამიშვილის, ბარათაშვილის, ჭავჭავაძისა და წერეთლის მადლიანი ენით მხოლოდ ერთი მუჭა ხალხი მეტყველებდეს?!

აფსუსი არ არის, გალაკტიონითა და ვაჟა-ფშაველათი მხოლოდ ერთი მუჭა ხალხი ტკბებოდეს?!

აფსუსი არ არის, სვეტიცხოვლით, გელათით, ჯვრით, ალავერდით... მხოლოდ ერთი მუჭა ხალხი ამაყობდეს?!

ნუთუ ჩვენი ცა და ჩვენი მიწა, ჩვენი ლამაზი ქვეყანა ღირსი არ არის, უფრო მეტ ქართველი დადიოდეს?!

მერედა, ეს ხომ ყოველი ჩვენთაგანის საქმეა, პირველად ჩვენი და სხვისი არავისი!

განა დანაშაული არ არის, ისეთმა ლამაზმა ქალმა, როგორიც შენა ხარ ჩემო ციალა და ჩემო ლეილა, ჩემო მზია და ჩემო მაყვალა, — თავისი სილამაზე, შვილთა თავისთა სახით არ მოჰფინოს ქვეყანას?!

— პირობები?!

რომელ პირობებზე მელაპარაკებით?! თქვენი მეათასედი პირობები არ ჰქონიათ თქვენს წინაპრებს, — თითოს შვიდ-შვიდი და ცხრა-ცხრა შვილი რომ ჰყავდა! — ასე ლაპარაკობდა აგერწინას ერთი სუფრის თამადა, რომელსაც იქ მყოფი ქალიშვილები ირონიული ღიმილით უსმენდნენ (უსმენდნენ კია?!).

მე თუ მკითხავთ, ის თამადა ცამდე მართალი იყო.

სხვა რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, რა გახდა, მართლა და მართლა, უმაღლესი სასწავლებლისაკენ ასეთი დაუოკებელი ლტოლვა?!

რამდენი ქალიშვილი ვიცი, — ზოგი ხუთი და ზოგი ათი წლის განმავლობაში სამედიცინო ინსტიტუტში მისაღებ გამოცდებს რომ აბარებს და აბარებს...

არ სჯობს, გათხოვდეს და შვილები გაიჩინოს?!

ნუთუ ვინმეს ჰგონია, რომ უმაღლესი განათლების მიღებით მეტ სარგებლობას მოუტანს ქვეყანას, ვიდრე შვილების გაჩენით?!

იქნებ ქვეყნის ბედი მას სრულიადაც არ აფიქრებს?!

ეს თუ ასეა, ნურავის დაავიწყდება, რომ ქვეყნის ბედზეა დამოკიდებული ყოველი ჩვენთაგანის ბედი, ქვეყნის ბედი კი, — ყოველი ჩვენთაგანის ბედზე! ასე მელაპარაკებოდა ერთი ჩემი ნაცნობი, რომელსაც თვითონ აგზნებდა თავისი აზრები (განსაკუთრებით ბოლო ფრაზა).

ძვირფასო ქალებო, როგორც კი თქვენთვის ახალი წლის მოლოცვა გადავწყვიტე, მყისვე ჩემი ნაცნობის ეს ნაამბობი გამახსენდა. ნუ მიწყენთ (კიდეც რომ მიწყინოთ, არ დაგიმალავთ ვეთანხმები მას)!

იცოცხლეთ და იხარეთ!

ღმერთმა გაშოროთ ცალმხრივი სიყვარული! —

თქვენი სხვისდამიც და სხვისი თქვენდამიც, — ორივე.

ყველა დედას, ყველა მამიდას, ყველა დეიდას, ყველა ბებიას, ყველა პაპიდას, ყველა ბიცოლას, ყველა დას, ყველა რძალს, ყველა მულს, ყველა შილს, ყველა დედამთილს, ყველა ქალიშვილს, ქერასა და ქალჩაშავას, — შავთვალას და ცისფერთვალას: ლიხს აქეთა და ლიხს იქით, უკლებლივ ყველას (განსაკუთრებით მას, — ვისაც ბევრი შვილი ჰყავს), სულითა და გულით ვულოცავ ახალ, — 1983 წელს და ვუსურვებ ბედნიერი ყოფილიყოს მისთვის ეს ახალი წელიწადი!

ელექტრონული ბიბლიოთეკა

ჯანსუღ ჩარკვიანი

# ჩემი პირველი სიტყვა ქალთა ჟურნალში



დიდი ილია ბრძანებდა: „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება. თუ ამათაც არ ვუპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას?" როგორც ხედავთ, ქალებზე არაა საუბარი, კაცებზე ლაპარაკობს დიდი ილია. დიახ, შთამომავლობას კაცებმა უნდა გასცენ პასუხი. კარგადაა ჩაფიქრებული, ახლა ვიკითხოთ რომელმა კაცებმა?

ბევრი მოვინდომეთ, ნამეტანი ბევრი: როცა სუფრას ვუსხედვართ, წმინდა მარიამებად ვრაცხთ ჩვენს ქალბატონებს, მეცხრე ცაზე დავეძებთ იმათ მშვენიერებასა და იმათ სიყვარულს. ხოლო, როცა მიწაზე დავეშვებით, მოვძებნით ქუსლს აქილევსისას, იმწუთშივე ვხვდებით, რომ ჩვეულებრივ დედაკაცებთან გვაქვს საქმე... დიახ, დედაკაცებთან. რა მშვენივრად ჟღერდა ეს ორი სიტყვა საქართველოსავით ერთ სიტყვად გაერთიანებული.

ახლა სხვა მხრივ მივუდგეთ სიტყვა დედაკაცს, დედას: დედა — დიასახლისი, დედა — საზოგადოებრივ წარმოებაში მომუშავე, დედა — საზოგადოებრივად აქტიური მოღვაწე. ასე არ გამოვა, რა თქმა უნდა, ჩემს აზრს მოგახსენებთ, რომ ასე არ გამოვა, რაღაც შეღავათი უნდა მივცეთ დედებს.

ჩემი აზრით, სულ ფეხზე დგომით დედა შვილს ვერ გააჩენს, ხანდახან წამოწოლისა და მოსვენების უფლებაც უნდა მივცეთ ახალგაზრდა დედას. შარშან კომკავშირულ ქალაქში, „ბორის ძნელაძეში", პატივცემულმა ედუარდ შევარდნაძემ, ახალგაზრდობას საახალწლოდ გულმხურვალედ მოუწოდა: გიყვარდეთ ერთმანეთი, ოჯახები შექმენით, გამრავლდითო. დარბაზში ისე აყიჟინდნენ, იმხელა თვალები გაუხდათ, ჩემთვის გავიფიქრე, კიდევ კარგი, სხედან, თორემ ახლავე ერთმანეთს გაჰყვებოდნენ მეთქი. ამ შვიდი წლის წინათ, ერთმა მშვენიერმა ახალგაზრდა დედამ მითხრა, ერთი შვილის პატრონმა: სად შემიძლია ამ სიძვირეში მეორე შვილის გაჩენაო. მე თავი დავუქნიე და ვუთხარი, სწორი ხარ, სიძვირეა, მაგრამ მარლის მოდურ კაბაში როცა ხუთას მანეთს აძლევ, მაინცდამაინც ვერ შეგიცოდებ მეთქი.

ბოლოს, რა მინდა მოგახსენოთ: ქვეყანას შეიძლება უჭირდეს და ბევრი რამ აკლდეს, მაგრამ ახლა ისიც ვთქვათ, შენ რომ ერთი პატარა რამ დაგაკლოს სამშობლომ, ხომ გეწყინება? სამშობლოს დღეს ყველაზე მეტად შვილი უჭირს, განა შენგან არ სწყინს სამშობლოს? მიეცი რა, შე კაი კაცო და შე კაი ქალო, ქვეყანას შვილი, გაუზარდე ქვეყანას შვილები და შენზე მდიდარი დუნიაზე არავინ იქნება. შვილი გახლავს მამული, ენა და სარწმუნოება!

ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, ქალებზე მოგახსენეთ,

ცოტა კაცებზეც.

# ათი შვილი —

ეროვნული ბიბლიოთეკა









ახალი წლის წინა დღეს მუხიანის ახალ დასახლებაში მრავალშვილიან ოჯახს ვეწვიეთ. ახალმოსახლეობა და ახალი წელი მივულოცეთ და დიასახლისს — თამარ ჩიქოვანს ვთხოვეთ რამდენიმე კითხვაზე ეპასუხა.

— თუ შეიძლება, რამდენიმე სიტყვა... თქვენი ოჯახის შემადგენლობაზე!

— ჩვენი ოჯახი თორმეტი წევრისაგან შედგება. ჩემი მეუღლე ცეზარ ალექსანდრეს ძე ბეკურაშვილი — 38 წლისაა, მშენებელი მუშა გახლავთ. გვყავს ათი შვილი. მე პედაგოგი ვარ. გოგებაშვილის სახელობის თბილისის პედაგოგიური ტექნიკუმი დავასრულე თუ არა, ოჯახს მოვეკიდე.

— თქვენი ცხოვრების მიზანი?

თამარი არ დაფიქრებულა, სახეზე ბედნიერი ღიმილი გადაეფინა: — შვილების კარგად აღზრდა, — აი, ჩემი ოჯახის ცხოვრების მიზანი. — შეკითხვას აღარ გვაცლის, თვითონ განაგრძობს თხრობას.

— თბილისში გავიზარდე, მამა სამხედრო პირი იყო — პოლკოვნიკი, დედა — დიასახლისი. ჩემს მშობლებს ცხრა შვილი ჰყავდა და ბავშვობიდანვე მივეჩვიე ოჯახის მრავალწევრიანობას, და-ძმის სიყვარულს. უბავშვო სახლი ყრუა. უხალისო. როცა გავთხოვდი, გადავწყვიტე, ბევრი და კარგი შვილი გამეზარდა, რადგან დედობა ამაღლებს ქალს.

— მეუღლესთან ხომ შეხმატკბილებული ხართ?

— მშობლები მაგალითია შვილებისათვის. დედ-მამის თბილი ურთიერთობა მათაც გადაეცემათ. პატარების აღზრდაში უფროსი ქალიშვილები მანანა და ლია მშველიან. ერთი ოცი წლისაა, მეორე — ოცდაორისა. ყველანი დილით ადრე ადგომას მივაჩვიე: ზოგი საბავშვო ბაღშია წასასვლელი, ზოგი — სასწავლებელში. ერთმანეთს ეხმარებიან ჩაცმაში, მომზადებაში, და-ძმას ერთმანეთი უყვართ. ჩემი აზრით, აღმზრდელის როლი დიდია ბავშვის ხასიათისა და ბუნების ჩამოყალიბებაში.

— შრომას თუ აჩვევთ?

— თითქმის ყველაფერს თვითონ აკეთებენ. აკი უკვე მოგახსენეთ, ერთმანეთს უვლიან მეთქი. ყველაზე უფრო ის მახარებს, რომ კეთილები არიან. რომელიმე მათგანს მეზობელმა ერთი ცალი მანდარინი რომ მისცეს, და-ძმებთან მოარბენინებს და უყოფს.

ერთხელ ავად გავხდი, მიშიკო საბავშვო ბაღში ლიამ წაიყვანა. სადილობისას აღმზრდელებს შეუმჩნევიათ, რომ ბავშვმა ნამცხვარი და ვაშლი არ შეჭამა. ნუნუ მასწავლებელი მისულა და მიზეზი უკითხავს. დედა ავად არის და

# მართლა შვილი





უნდა ნავულოო, უპასუხია. ნუნუ მასწავლებელი ისე შეუძრავს ამ ამბავს, რომ ხილი და ტკბილეული გამოატანა ჩემთან. ნეტავ გენახათ, როგორი გახარებული იყო ჩემი მიშიკო.

იმ დღეს „სასწრაფოს" გამოძახება დაგვჭირდა. დიდი სიცხე მქონდა. მოვიდნენ ექიმები, ყურადღებით გამსინჯეს. 15 წლის ვეფხია კართან იდგა და ექიმებს ემუდარებოდა, დედასთან დარჩით, არ მოგვიკვდეს, თორემ ბავშვებს ვინ მოგვივლისო. ვეფხიამ მთელი ღამე ჩემს სასთუმალთან გაატარა, სველ ტილოებს მადებდა შუბლზე. ვერ იქნა და ვერ დავაძინეთ.

მანანა დაფრთიანებულია, ვაზისუბანში ცხოვრობს. უკვე შვილიც ჰყავს, ქმარშვილსაც უვლის და და-ძმებსაც არ აკლებს ყურადღებას.

— რა უფრო აინტერესებთ ბავშვებს?

— კარგად სწავლობენ, ხუთოსნები და ოთხოსნები არიან. ვეფხია ჩხირკედელაა და დურგლობა მოსწონს,მიშიკოს — მუსიკა. 12 წლის ზურაბი ხატვით არის გატაცებული. ღილი რომ აუწყდება, ფვითონ აკერებს, წინდებს ირეცხავს. მე თვითონო, ასე უყვარს თქმა. ცდილობს, რაც შეიძლება, შრომა შემიმსუბუქოს. დახმარებას არა სჭირდებათ, ყველა თავისთვის, დამოუკიდებლად მეცადინეობს. ზოგჯერ ერთმანეთს უშლიან ხოლმე ხელს, ხმამაღლა კითხულობენ: ბევრნი ვართ და რა გაეწყობა; ვარდი უეკლოდ აბა, ვის მოუკრეფია.

მიხარია, რომ ასე ფასდება ჩემი შრომა. საზოგადოებაც მხარში გვიდგას. დრამატურგმა კიტა ბუაჩიძემ ათასი მანეთი და თავისი პიესების წიგნი გვაჩუქა. გადაწყვეტილი მაქვს ამ თანხით შვილებს ბიბლიოთეკა შევუძინო. ვსარგებლობ შემთხვევით და მადლობას ვუხდი კიტა ბუაჩიძეს, ჩვენს სასიქადულო ადამიანს, რომელმაც საკუთარი სახსრები გაიღო ჩვენი მრავალშვილიანი ოჯახის დასახმარებლად.

ბავშვები ერთმანეთის ტანსაცმლით იზრდებიან. მანანა უმცროს დაიკოებს კაბებს უკერავს. ახლა საბნების კერვაც ისწავლა.

თერთმეტი წლის ხათუნა პატარა შორენას, ირმასა და მიშიკოს გვერდიდან არ იშორებს, ისინიც ფეხდაფეხ დასდევენ.

ბავშვებს ალერსით ვზრდი. ჩემი აზრით, ზედმეტი სიმკაცრე და დასჯა უარყოფითად მოქმედებს პატარებზე.

— ერთხელ, როცა რომელიღაცამ იტირა, — მგონი იმედა იყო, — ვუთხარი, როცა აცრემლდებით, თვალებიდან მარგალიტები გცვივათ მეთქი. ყველაზე პატარებმა ეს ბავშვური მიამიტობით დაიჯერეს და რომელიმე მათგანი რომ წამოიტირებს, მივარდებიან, ცრემლს უმშრალებენ, მარგალიტები არ დაგცვივდესო.

უყურებ ამ ოჯახს და ფიქრობ, ღმერთო, როგორი მდიდარია ეს ერთი შეხედვით თითქოს ხელმოკლე ხალხი. უნებლიედ ფიროსმანის შედევრი მაგონდება — „უშვილო მდიდარი და ღარიბი მრავალშვილიანი".

ოთხოთახიანი ბინა ვერ იტევს ათი შვილის სიცილს, ჭყივილს და ტიტინს. ისინი კვლავ საბინაო აღრიცხვაზე არიან. მთავრობა ზრუნავს ამ სავსე ოჯახის შემდგომი კეთილდღეობისათვის.

თამარ და ცეზარ ბეკურაშვილები! — აი ვის უყვარს ჭეშმარიტად თავისი ქვეყანა. ამისთანებზეა დღეს ქართველი ერის გამრავლების ბედი დამოკიდებული. შევეჯიბროთ ამ გმირ, სათაყვანებელ ადამიანებს საქართველოს სიყვარულში!

ეთერ ჯაფარიძე



ეროვნული ბიბლიოთეკა



შოთა ნიშნიანიძე

# ძახილი

რა გალეულს და ფერწასულს გხედავ,
ჩემო პაწია, ცოდვილო დედა,
ვაიმე, როცა შენს გულთან მჭრიდნენ,
რაიმე ხომ არ გატკინე ნეტა.

არ შეგეშინდეს, შვილი ვარ შენი,
შენი ტანჯული სისხლი და ხორცი,
ნიავი ვარ და მგონია გშველი, —
სიცხიანს, მწუხარს კულულზე გკოცნი.

მაგ ბავშვურ შუბლსაც გიკოცნი მორცხვად,
გაბუსხულ ტუჩსაც, ბავშვურად ლამაზს...
ახლა სული ვარ და უფალს ვლოცავ —
შენს გადარჩენას ვულოცავ მამას.

მადლობა უფალს, რომ არ დაგვღუპა,
არ დამიობლა ძმები და დები.
მე კი, ბარტყივით ტანშეუბუმბლავს
ცად ანგელოზმა მაჩუქა ფრთები.

როგორ მინდოდა, მეც მოგსწრებოდი,
მეც გამეხარა ამ სამზეოთი,
მეც დამეძახა შენთვის „დედიკო“
და მამას ყელზე შემოვხვეოდი.

ჩაწნული ვიყავ მომავლის ფიქრთან,
როგორც პეპელა ყვავილში რგული,
დაბადებამდე რამდენი მიკლდა,
ითვლიდა ჩემი პაწია გული.

ალბათ, გგონივარ დაღლილი სხივი,
ალბათ, გგონივარ სუნთქვა სიოთა,
შენ ხომ უძლებდი საკუთარ ტკივილს,
მე კი, ძვირფასო, შენიც მტკიოდა.

თურმე ტყუილად მომიხაროდა,
შეხვედრა შენთან, ძმებთან და დებთან...
ახლა მოგტირით სხვა სამყაროდან
არარაობის ჩრდილი და სევდა.

რად გააწბილე ღვთის იმედები,
რატომ შეშალე და გაამრუდე,
ანგელოსების და პლანეტების
კეთილი გათვლა დავარაუდი?

II

ჰოი, დედებო, რა პასუხს აძლევთ,
რას ეუბნებით წარსულს და ხვალეს,
ვინ მოუაროს ვაზივით გამძლე
დიდების მსურველ პატარა მხარეს!

ვინ მოუაროს შენს ზვრებს და ანბანს,
შენს ხმებს, ჩუქურთმებს, იმედებს,
სიზმრებს.
მაგ ცოდვას რაღა მირონი გაბანს
და მაინც გამშრალ ტუჩებზე ვიმცვრევ!

მირონო, ჩემი მიწის მირონო,
იმედო, რწმენავ — სულ შემენახე,
სულ იარაგვე, სულ ირიონე,
სულ იჯეჯილე, სულ ივენახე.
— კიდევ სად არის სხვა საქართველო?
ჭყივის ლექსი და ციხის ქონგური.

— მიწაში, დედავ...
და ვინ დაჰვალოს
შვილი და ძარი, ჩემებრ მიკლული,
თუ სვეტიცხოველს ვერ ავაგებდით,
„ვეფხისტყაოსანს“ თუ ვერ დავწერდით,
მაინც ზედმეტი და მოსაკვეთი
არ ვიქნებოდით შენთვის არც ერთი...

შვილთა სიმრავლე დაკპედებოდეს
მტრედის გრუტუნი და მუხის ჩერო,
ჩხებით,
აკვნებით და ბუდეებით
ამაღლდი, ჩვენო ფუძევ და ჭერო!..



მორის ფოცხიშვილი

# მადლი დედაშვილობისა

სიცოცხლის საწყისს — დედას და ღვთით კურთხეულ გრძნობას — დედაშვილობას ბიბლიური დროიდან უგალობს კაცობრიობა. ხატი ჩვენი თაყვანისცემისა დედაა, სხივი ჩვენი იმედისა — ბავშვი...

როცა რომაელმა მანდილოსნებმა კორნელია გრაკხს თხოვეს, ეჩვენებინა თავისი სამკაულები, დედამ შვილები წარუდგინა საზოგადოებას და დასძინა: აი, ჩემი სამკაულები!

შენ, ჩემო ნანა, როგორც დედამ თავი შვილებით უნდა მოიწონო, ხოლო როგორც მხატვარმა შენს ნახატებში მომრავლებული ბავშვებით უნდა იამაყო.

ერთსაც და მეორესაც სამშვიდობო დილა გასთენებოდეთ მარად!

ბედნიერი ხარ, როგორც მშობელი, როცა პირმშოთა შენთა ბედნიერებით იმსჭვალები, გამარჯვებული ხარ, როგორც შემოქმედი, როცა შენს „ხატებში" თვალგაბრწყინებული გოგონებისა და ბიჭების ხილვით ტკბება ადამიანი.

„სიცოცხლე — ხელოვნებაში და ხელოვნება — სიცოცხლის სადიდებლად!" — აი, როგორ მესახება მთელი შენი ცხოვრება უკვე განვლილი და აწ გასავლელიც. ცხოვრება ჯერ თავად შვილისა, მერე დედისა და მერე მხატვრისა, რომელმაც სიცოცხლე მისცა უთვალავ ბავშვს, რომლებიც ჭეშმარიტი შემოქმედებითი წვის შედეგად ჩნდებიან ხოლმე ტილოზე. აკი გითქვამს კიდეც ერთხელ:

„დედობის გრძნობა ყველაზე წმინდაა ცხოვრებაში. ყველა ჩვენთაგანს ჰყავს შვილი და ცხადია, გვაღელვებს მისი მომავალი. ჩვენ თვალყურს ვადევნებთ, როგორ იზრდებიან, ვხედავთ როგორ თამაშობენ, მხიარულობენ და როგორ მოიწყენენ ხოლმე ისინი. ბავშვების სამყარო განსაკუთრებული და ზედმიწევნით რთულია. მის ამოცნობას შესძლებს მხოლოდ ის, ვინც გულწრფელია მათ მიმართ. მე მხატვრული ხერხების საშუალებით შევეცადე ამომეცნო ეს სამყარო და გავაკეთე ეს არა მხოლოდ იმის გამო, რომ მხატვარი ვარ, არამედ იმიტომაც, რომ ვარ დედა."

დედისა და მხატვრის ამ ალსარებაში სათნოება ღაღადებს. შემოქმედი მხოლოდ ამ სათნოებით ჰქმნის ჰარმონიას ბუნებაში, რომლის გვირგვინი ადამიანია, — ადამიანი თავისი მეოცნებე სულით, რწმენით, მისწრაფებით, სისუსტითა და სიძლიერით, მუსიკალური გზნებითა და გამორჩეული აბსტრაქციული ხილვებით... და რაც მთავარია იმ ღვთიური გრძნობით, რომლის წყარო ისევ და ისევ დედაშვილობაა.

ამ დედაშვილობის სხივზე ჩნდება შენი შემოქმედება, რომელიც ახლად ფეხადგმულ ბავშვივით უშუალოა და მიმზიდველი. ხიბლი შენი სურათებისა შენივე გულწრფელობაა და სიყვარული, რომლითაც სულდგმულობს ყველა შენი ნახატი. „უსიყვარულოდ არ არსებობს თვით სილამაზე!" — აკი ბრძანებს გალაკტიონი.

შენმა „ანგელოსებმა" ბიბლიური წოეს მტრედებივით შემოიფრინეს მრავალი ქვეყანა, სად არ გამოფენილან ისინი დასტურად იმისა, რომ ქაოტიური გრიგალ-ქარებით შეძრულ პლანეტაზე არის ერთი მუჭა მიწა, რომლის „ცვრიან ბალახზე" დარბის ყრმა, ვითარცა მსოფლიოს მომავალი, რომელსაც სახოებით შეჰყურებს დედა-მშობელი, რომლის სახელია საქართველო. შეჰყურებს მშვიდობისა და სიკეთის ქადაგებისათვის დაბადებული ხალხი, რომელიც ადიდებს დედას, ვითარც ღმერთქალს, რომლის იავნანა სინათლესავით სჭირდება ხვალინდელ დღეს.

მეოცე საუკუნეში ფერწერული შედევრებით განებივრებულთ დედაშვილობის თემაზე შექმნილი ნახატებით ვერ გააკვირვებ, თუმც შენ არც ცდილობ მნახველთა გაკვირვებასა და გაოცებას, მხოლოდ გაწაწყობ, განაწყობ მათ სინაზისათვის, კეთილსა და სათნოს ზდი ყველას, ვისაც სილამაზის შეგრძნების უნარი შერჩენია ამ ქვეყანაზე.

დედები, რომლებსაც შენ ხატავ, თავისი დედობით უკვე იპყრობენ ჩვენს სულს. ყველა დედა ლამაზია ამ ქვეყნად. შენი დედები და შენი ბავშვები საოცრად მომხიბვლელნი არიან. სიცოცხლით სავსენი, სიყვარულითაა განხივოსნებული თვითეული, ისინი ერთმანეთს შეჰხარიან და ერთმანეთისათვის სულდგმულობენ, მათი გამოცალკევება შეუძლებელია, და თუ ხანდახან მაინც ხატავ ხოლმე განცალკევებით და გამოყოფილად ბავშვებს, ყოველ ტილოში იგრძნობა, რომ სადღაც იქვეა დედა, მისი გულისძგერა ისმის სურათის ჩარჩოებს მიღმა. ეს უკვე საჩინო გამარჯვებაა შენი, ვითარც ხელოვანისა.

„საქართველოს ქალის" მკითხველებს აქვთ საშუალება, ოდნავ მაინც შეიცნონ ჟურნალში დაბეჭდილი რეპროდუქციებით ნანა მესხიძის ნიჭი და მარადიული სურვილი — იყოს მზე, იყოს მშვიდობა, იყოს დედა და ირწეოდეს აკვანი კვლავაც, რომელშიც ბავშვი სიცოცხლით ხარობს.

# ნანა მესხიძის ფერწერული ტილოები



„დებიუტანტები“

„დაბადება



დედები“



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



„ავტოპორტრეტი"



„მუზეუმში"



„ქეთა ვაშაძის პორტრეტი"

„ეზოში"



ეროვნული ბიბლიოთეკა







- „საბას პორტრეტი“
- „ია“
- მოთხრობის ილუსტრაცია

## სანიმუშო დისციპლინა, მაღალი ორგანიზებულობა, აქტიურობა და პასუხისმგებლობა — თითოეულისაგან ყველგან და ყველაფერში!

„ჩვენი აზრით, თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის მუშათა კლასმა თავისი შრომით, თავისი კეთილი ტრადიციებით, მაღალი მორალურ-პოლიტიკური და საქმიანი თვისებებით ღირსეულად მოიპოვა ქვეყნის სხვა საწარმოებთან ერთად სოციალისტური დისციპლინისათვის ბრძოლაში ახალი ფურცლის დაწყების საპატიო უფლება“.

ედუარდ შევარდნაძის სიტყვიდან
დიმიტროველებთან შეხვედრაზე.

# ჩვენ, დიმიტროველები...

თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანაში ქალის შრომა ბევრ საწარმოო პროცესშია გამოყენებული.

უდავოა, სანიმუშო დისციპლინა რომ არ დაეცვათ დიმიტროველებს ძალზე გაუჭირდებოდათ იმ საუკეთესო ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების მიღწევა, რომლებიც აქვთ. ქარხნის კოლექტივი აქტიურად არის ჩაბმული საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და ყოველ კვარტალში საპრიზო ადგილებს იკავებს. შარშან წლის ბოლოს ქარხნის ხელმძღვანელობის სახელზე მოვიდა დეპეშა: სამინისტროს კოლეგიისა და ჩვენი დარგის პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით 1982 წლის 10 თვის მუშაობის შედეგების მიხედვით თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის კოლექტივს დარგის საწარმოთა სოციალისტურ შეჯიბრებაში მეორე ადგილი მიენიჭა.

ყველა ამ შრომითს გამარჯვებაში თავისი ღირსეული წვლილი შეაქვთ ქარხანაში მომუშავე ქალებს. მაღალნაყოფიერად შრომობენ ქალთა ბრიგადები, რომლებსაც სათავეში უდგანან: ლ. ნადირაშვილი, ტ. მელიქიძე, მ. ოვსიანიკოვა, ნ. აბულაძე, ნ. ვასილიევა, მ. კაზიშვილი, ნ. ღვინიაშვილი და სხვანი. აქ მომუშავე ქალებიდან ბევრი ხელმძღვანელ თანამდებობაზეა დაწინაურებული. ასეთები არიან უბნების უფროსი ოსტატები ქ. მიხელიძე, ზ. ქოიავა, ნ. ფირცხალაშვილი, მ. შუბითიძე, ა. ისლანგულოვა, მთავარი ტექნოლოგის სამსახურის ერთ-ერთი განყოფილების ბიუროს უფროსი ე. რალდიგინა, მთავარი ტექნოლოგის სამსახურის ლაბორატორიების უფროსები ლ. აფხაიძე, ლ. ქსენოფონტოვა, საამქროს უფროსი ვ. პერეპელიატნიკოვა და სხვ.

შრომაც არის და შრომაც. დიმიტროველები ტრადიციულად შრომას შემდეგნაირად აფასებენ: დაკისრებული მოვალეობის შესრულება დამაკმაყოფილებელია, ხოლო მოვალეობისადმი შემოქმედებითი მიდგომა, საწარმოო პროცესებში სიახლის, გაუმჯობესების შეტანა — ძალიან კარგი. ქარხანაში მომუშავე ბევრი ქალის შრომა ასეთი დიდი შეფასების ღირსია. უპირველეს ყოვლისა, ეს არის ინჟინრების შრომა, რომელიც ჭეშმარიტად შემოქმედებითია. ინჟინერ-ტექნოლოგები ნ. ნანუაშვილი, ა. კუჭანიშვილი, ნ. კორონჩენკო, ზ. პლეხანოვა, ლაბორატორიის უფროსი ზ. შუბითიძე, კონსტრუქტორი ნ. ვიტჩენკო და მრავალი სხვა ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი ქალი წარმოების მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის უშუალო და აქტიური მონაწილეა. ასეთივე მნიშვნელობისაა ქარხნის რაციონალიზატორი ქალების შემოქმედება, რაც აუმჯობესებს პროდუქციის ხარისხს, უზრუნველყოფს მასზე შრომატევადობის შემცირებას, მასალის ეკონომიას, შრომის ნაყოფიერების ზრდას და, საერთოდ, წარმოების ეფექტიანობის დონის ამაღლებას. რამდენიმე ათასი მანეთი დაუზოგეს წარმოებას რაციონალიზატორმა ქალებმა: ლ. მაჩაბელმა, ა. გოგელაძემ, მ. ანანიაშვილმა, ნ. ნანუაშვილმა, ვ. პერეპელიატნიკოვამ, ტ. კოტოვამ, გ. დუდარმა, ლ. ჩებუკინამ, მ. გულბათიშვილმა და სხვებმა.

დიმიტროვის სახელობის ქარხანაში მომუშავე ქალების მაღალნაყოფიერი, შემოქმედე-



პროფკომიტეტის ქალთა შორის მუშაობის კომისიის სხდომა.



მედიკო-სანიტარული ნაწილის ექიმი მ. კაკულია ესაუბრება მუშას



საწარმოო გამამხნევებელი ტანვარჯიში

ბითი შრომის მაგალითების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. ერთი რამ კი აუცილებლად აღსანიშნავია: ქალები ასევე აქტიურნი არიან საზოგადოებრივ საქმიანობაში. ისინი არჩეულნი არიან პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების წევრებად, სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების დეპუტატებად. ქარხნის პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირის კომიტეტების წევრებად, ასევე საამქროებსა და განყოფილებებში საზოგადოებრივი ორგანიზაციების — ბიუროებისა და კომიტეტების ხელმძღვანელებად და წევრებად. ამის გარდა, მრავალი მათგანი პროპაგანდისტის, აგიტატორის, საზოგადოება „ცოდნის" საქარხნო ორგანიზაციის მომხსენებელია.

ყოველივე ამას თუ იმასაც დავუმატებთ, რომ ეს ქალები ამავე დროს დიასახლისები, მეუღლეები და მშობლები არიან, ნათელი იქნება, თუ რა დიდ და მნიშვნელოვან შრომას ეწევიან.

საავიაციო ქარხნის კოლექტივმა და მისმა ხელმძღვანელობამ კარგად იციან მშრომელი ქალების ფასი და ყოველმხრივ ცდილობენ სათანადო საყოფაცხოვრებო პირობები შეუქმნან მათ.

სანიმუშოდ მოწყობილი ქარხნის ხუთი საბავშვო ბაგა-ბაღი 1750 აღსაზრდელს ითვლის. ქარხნის დამხმარე მეურნეობა პირველ რიგში მათ ამარაგებს რძით, ხორცით, ბოსტნეულით. ქალებისათვის უდაოდ დიდი ხელშეწყობაა ისიც, რომ ქარხნის ტერიტორიაზე მუშაობს სპეციალური მაღაზია, რომელიც დამხმარე მეურნეობის პროდუქტებით ვაჭრობს. აქ ყოველთვის შეიძლება ხორცის, ფრინველის, კვერცხის, რძის, ბოსტნეულის, მწვანილის ყიდვა. პერიოდულად იყიდება ახალი თევზიც, რომელსაც დამხმარე მეურნეობის ტბორებში აშენებენ. მეურნეობის პროდუქტებით მარაგდება აგრეთვე ქარხნის საზოგადოებრივი კვების კომბინატის სასადილოები და ბუფეტები.

ქარხანა წელიწადში 20 ათასი კვ. მეტრი ფართის საცხოვრებელ სახლებს აშენებს თავისი თანამშრომლებისათვის, რაც სწრაფად აუმჯობესებს მათს საყოფაცხოვრებო პირობებს. დიდ დახმარებას უწევს ქალებს ქარხნის სავაჭრო გაერთიანება, რომელშიც 16 მაღაზიაა. აქ შეიძლება ყველაფრის ყიდვა — დაწყებული სურსათით და ელექტრონიკის საქონლით დამთავრებული.

დიდი ყურადღება ეთმობა ქალთა ჯანმრთელობის დაცვას. ქარხნის სამედიცინო-სანიტარიული ნაწილი, გინეკოლოგიური განყოფილებით და ქალის ჰიგიენის რვა კაბინეტით, შიგ ქარხანაში, საამქროებშია მოწყობილი. შექმნილია ჯანმრთელობის გამაჯანსაღებელი ჯგუფები 30 წლისაზე უფროსი ქალებისათვის, სპორტის სასახლე, სტადიონი, სპორტული მოედნები, საცურაო აუზი და მრავალი სხვ. აქ მრავლად არიან სპორტში ჩაბმული ქალები.

თ. სამადაშვილი



# ოჯახი

მზემ ხელისფათურით მოძებნა ლამაზი ჩუქურთმა და კარს მიაწვა. კარი დაკეტილი დახვდა — კაცის სინდის-ნამუსის, ბედნიერების და უბედობის დარაჯი. ერთიათად ჩანდა მის სხივებზე ჩახვეული და გამოყვანილი ხის ჭრილები, ძალა და სუნთქვა კაცისა, მისი ფიქრი და ოცნება, ასე ცოცხლად რომ დააჩნდა ორსართულიანი ოდის ყველა ფანჯარასა და შესასვლელს.

მისი სახელი ცნობილი იყო რუისში. სხვა სოფლებიდანაც დაეძებდნენ ხეზე ნაკეთობის ოსტატს. კაცი სახელიანი თავისი ოქროს ხელებით ახალგაზრდობიდანვე გახდა გურამ გურასპაშვილი. მაშინ იყო, რომ მშობლების ძველი ქოხი არ მოეწონა და როგორც შვილს გაზრდიან და გაალამაზებენ, ისე ააგო, მორთო და მოაჩუქურთმა ახალი ოდა.

შვილებისთვის ააგო, სამი ქალისა და ერთი ვაჟისათვის ააგო, მათთან ერთად ააგო. ისინიც ტანს იყრიდნენ, სწავლობდნენ შრომას და პატიოსნებას, უფროსის გაგებას და ხათრს, მორიდებას, დედ-მამის თანადგომას.

... მზეს დაკეტილი დახვდა კარი. არავინ იყო შინ. ყველას მორიდებოდა მასთან შეხვედრა და გაესწრო, საქმისთვის მიეხედნა.

რუისი — საოცრად ლამაზი სახელი და უფრო ლამაზი სოფელი. იქ, სადაც ბურთისთვის გირბენია, თევზი ხელით დაგიჭერია, კოჭობანა გითამაშია და ჩხუბში პერანგი შემოგხევია, თურმე კიდევ არაფერი არ ყოფილა იმ დიდ სურვილთან, რომელიც აგერ, გვიან, ჭკუადამჯდარს და დადინჯებულს ჩაგისახლდება სხეულში, სულში, თვალებში და ჯიუტი ჭინკასავით გულიდან ვერ გამოდენი.

ბედნიერი ხარ, თუ ისეთი ცოლი შეგხვდა, რომელიც გაგიგებს, შენზე მეტად აჩემდება და აგაჩემებს ამ სურვილის ხორცშესასხმელად. ბედნიერი ხარ, თუ შვილებიც ისე ფიქრობენ, როგორც შენ და ცოლი, თუ თქვენი სისხლი და ხორცი განმარტებასაც არ თხოულობს, ისე აკეთებს, რასაც თქვენ აკეთებთ.

და ეს ლამაზი ჩუქურთმა, რომელიც მზეს ასე მოსწონდა და ათბობდა ყოველ დილით, ბევრი ასეთი ჩუქურთმა სახლის ირგვლივ, რომლებიც მნახველს აოცებდა და ოსტატს ალოცვინებდა, დარჩა მიტოვებული.

რაღაც დიდმა სურვილმა გადაწონა რუისი თავისი სიკეთით და მოიყვანა ტინისხიდში, მოტიტვლებულ მინდორზე გურამ გურასპაშვილი და მისი მეუღლე თინა თავისი ოჯახით.

რაიკომის მდივანთან თვითონ კი არ ლაპარაკობდა, ლაპარაკობდა მისი გული. „გამართული კაცი იყავი, გქონდა გამართული სახლ-კარი, მუშაობდი მეურნეობაში, გყავდა კოოპერირების წესით გამოყვანილი გასაზრდელი ღორები, შრომობდი, ექვს ტონამდე ხორცს აბარებდი ქვეყანას, ყველა კმაყოფილი იყო, შენ კი — არა".

და პარტიის ქარელის რაიკომის პირველმა მდივანმა ვაჟა აბრამიშვილმა გაუგო. კაცს უნდოდა მეტი საქმე, მისი წლები და ჯანმრთელობა სამისოდ მზად იყო, სურდა ასი სული ღორი გამოეზარდა, წელიწადში რვა-ათი ტონა ხორცი ჩაებარებინა, გაეჩინა მიმდევრები, ხალხს მასობრივად მოეკიდა ხელი კოოპერირებისათვის, აშენებულიყვნენ თვითონაც, აშენებულიყო ქვეყანაც.

— გასაგებია, ყველაფერში ხელს შეგიწყობთ, — თქვა მდივანმა, როცა მისი საკუთარი ნახაზი იხილა. ეს ღორების სადგომი იყო, რომელიც მცირე ფართობზე აშენდებოდა და ას სულ ღორს დაიტევდა, აქ იქნებოდა მექანიზაცია, ნაკლები შრომის ხარჯვა და დიდი მოგება.

ღორებს რვა თვემდე, ან წლამდე გაასუქებდა და მერე ჩააბარებდა (ამით საკვებიც დაიზოგება, და, თანაც, — ბურვაკის ხორცი უფრო გემრიელია). დედა ღორებს ერთხელ მოაგებინებდა გოჭებს და მერე ჩააბარებდა, (ასეთი ღორის ხორცი უფრო გემრიელია). ხარისხი და ეკონომია, — აი, რაზე ფიქრობდა გურამი.

სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი ვალერი ხუციშვილი გვერდში ამოუდგა გურამს. მისი შედგენილი პროექტი რომ ნახა, გაკვირვება ვერ დაფარა, ისე იყო გაანგარიშებული და გაზომილი ყოველი დეტალი.

ამიტომაც სასწრაფოდ გამოუყო ვალერი ხუციშვილმა სამშენებლო მასალა, სამჯერ ინახულა მშენებლობა. სულ ცოტაც და ყველაფერი მოთავდება. ახალსახლობას იზეიმებენ ფერმაში.

კაცს უნდა და აკეთებს. კაცს უნდა ათ ტონამდე ხორცი ჩააბაროს ყოველწლიურად, რადგან ასე მწვავედ დგას სასურსათო პროგრამის საკითხი.

— ხორცი, მეტი ხორცი! — ამ ფიქრით ქმნიდა და ხევდა, კვლავ ხაზავდა და შლიდა პროექტს, რომელიც თვეების მანძილზე თავში მუშავდებოდა, მერე თინას აუხსნა ყველაფერი, მერე არცერთმა არ დაიძინა რამდენიმე ღამეს. შვილები რომ დაწვებოდნენ, მაშინ იწყებდნენ ხაზვას და ფიქრს. არც შვილებს ეძინათ, ოთხი წყვილი თვალი ზვერავდა მაგიდაზე თავდახრილ დედ-მამას. მერე ექვსი სული შემოუსხდა მაგიდას, ზაფხული მოახლოებული იყო. ახალმოზომილ ეზოში ისხდნენ და აკვირდებოდნენ, სად აშენდებოდა საცხოვრებელი სახლი მამისათვის და უფროსი ვაჟისთვის, — გელასთვის, რომელიც ახლა უკვე მამის ამხანაგობის წევრი ხდებოდა, როგორი იქნებოდა ეს სახლები, — ორსართულიანი, ჩუქურთმიან კარ-ფანჯრებიანი... როგორ დაიგებოდა გზები, ჩაიყრებოდა ხეხილი, გაშენ-



გელა

დებოდა ბოსტანი... უკან კი, რაც მთავარი იყო და რისთვისაც ტინისხიდელები გახდნენ, იქნებოდა მეღორეობის ფერმა — საოცარი ფერმა, სადაც ყველაფერი გამოთვლილი იყო, რათა არ დაკარგულიყო არცერთი გრამი საკვები, მაქსიმალურად მოემატათ ღორებს და ჩაბარებულიყო საუკეთესო ხარისხის ხორცი.

ამისთვის დატოვეს რუისი და ყველაფერი, რაც იმ წლებთან იყო ადევნებული — ნეტარი წუთები, ბედნიერი ბავშვობა და ახალგაზრდობა, მშობლების ფუძე... დატოვეს, რადგან პატარა ეზო გასაქანს არ იძლეოდა. ჩაფიქრებული დიდი საქმე ვერ იხარებდა...

ფერმის საძირკველი რომ გაიჭრა, ყველამ შვებით ამოისუნთქა. გურამმა და ვაჟამ ფუძე დალოცეს, მათ თინამ მიბაძა, მერე გოგოებიც შეუერთდნენ. ფერმას ყველა აშენებდა, სამუშაო განაწილებული ჰქონდათ. ქალები საჭმელს გარეთ ხარშავდნენ და ამ საქმეს რომ მორჩებოდნენ, ხან ქვებს ეზიდებოდნენ, ხან წყალს, ან იარაღს.

ფერმას გურამი ცოლშვილთან ერთად აშენებდა. ამიტომ ღამეც იქ უნდა დარჩენილიყვნენ. ორ დღეში წამოჭიმეს ფიცრული სახლი, დროებითი თავშესაფარი და აქ გურასპაშვილებს ზამთარმაც მოუსწრო.

რას ნიშნავს კარგი მეურვე! — გურამმა საცხოვრებელს წინ შესასვლელი და სამზარეულო მიადგა, თინამ ისე დააკრიალა და მორთო ყველაფერი, რომ შინ შესულს უკან გამოსვლა არ ესურვება.

კეთილმოწყობილი სამზარეულო ქალების კარგობაზე ლაპარაკობს, სიქათქათე საძინებელი ლოგინებისა, მოსასვენებელი კუთხეებისა კარგი ქალობის ნიშანია. ამ ერთოთახიან სადგომში, ბინების აშენებამდე, ძალიან ტკბილი დღეები და ღამეები გაივლის, რადგან ყველას სახეზე სიმშვიდე, ბედნიერება და ხალისი გადაჰფენია.

გურამი ბედნიერია, ის იმას აკეთებს, რაც გულით უნდა. თინა ბედნიერია ქმრის ბედნიერებით და თანამონაწილეობით. გოგონებსაც მათი სიხარული გადასდებიათ. უფროსი ლალი გათხოვილია, პატარა ვაჟკაცს ზრდის და მამის ოჯახშიც ფუსფუსებს. შუათანა მაია ბავშვთა ბაგაში მუშაობს. მოვა თუ არა შინ, საქმეს იწყებს. უმცროსი ნინო, რომელიც შიშობდა რუისის მერე გორის სკოლაში როგორ ვისწავლიო, პირველი მოწაფეა კლასში. ოჯახში შრომა იმდენად სახალისოა მათთვის, რომ არცერთი არ გრძნობს თავს დატვირთულად და გარეთაც ყველა წარმატებით ართმევს თავს დაკისრებულ მოვალეობას, ოჯახის მამა — ტინისხიდის მეღორეობის ფერმაში შრომობს და საქმე წინ მიუდის.

რა იქნებოდა ადამიანი უოცნებოდ! ბარსაც ვერ დაჰკრავდა, ქათამსაც ვერ გაზრდიდა, ერთ ძირ ხეს ვერ მოუვლიდა. რა თქმა უნდა, ჯანსაღი ოცნება შვენის ადამიანს, შრომაზე და გარჯაზე დაფუძნებული, და არა ისეთი, გლეხმა რომ ერთი ქილა ერბო იპოვნა და ისიც დაკარგა...

გურასპაშვილები ერთ საქმეს რომ მორჩებიან, ახალ ოცნებას იწყებენ. ზოგჯერ არც არის ის საქმე მორჩენილი და მაინც ოცნებობენ — ახალი წამოიწყონ. და აი, ეს ახალი ახალწლის ღამეს გაამჟღავნეს, როცა ჩამობნელდა და სიცივე ჩამოწვა, ღუმელს შემოუსხდნენ და ხის ტკაცა-ტკუცში გათქვეს... რომ ამ საცხოვრებელ სადგომში მერე კეთილმოწყობილ ფერმას გაჭიმავენ; ოთხი ათასი ფრთა ფრინველი დაეტევა და ისიც სახელმწიფოს მოხმარდება. გამგედ, რა თქმა უნდა, თინა დაინიშნება. განა გონივრული არ არის! ქათამი ხომ დაურიდებლად აფუჭებს საკვებს და ეს მისი მონარჩენი გოჭებს შეემატება.

თინა იცინის, ოცნებით თეთრ ხალათს იცვამს და ფერმაში დადის. თეთრხალათიანი გოგონებიც უკან მიჰყვებიან მომვლელებად.

... ღორებისათვის საუკეთესო საკვებია რძის შრატი. ამიტომ ეზოში ორი ძროხა აბლავლდება, ასეთები, თითო რომ 15-20 ლიტრს იწველის. ხომ მოუვლით, ქალებო... სიცილია, ჟრიამული, მათ შვილიშვილებიც უერთდებიან. რა თქმა უნდა, მოუვლიან.

ეზოში ბოსტანი თავის ადგილს დაიკავებს. ბლომად მოვა კიტრი, პამიდორი, კარტოფილი, ხახვი, კომბოსტო... საკუთარი კარმიდამო მათ ბაზარში სიარულს გადააჩვევს, წლის სარჩოს ამ მიწიდან აიღებენ და კიდევ... ზამთარ-ზაფხულ ექნებათ კიტრი და პამიდორი. არც ღორის ნაკელი დაიკარგება. — მხურვალეა, საუკეთესო საშუალებაა სათბურის გასამართავად. მერე ბოსტნეულს მოიყვანენ, გათბობა არ იქნება საჭირო, კიტრსაც და პამიდორსაც მხოლოდ ცელოფანის სახურავი ექნება თავზე წამოხურული. თითქმის მუქთად, უფასოდ ოჯახში ხვავი დატრიალდება...

მთავარი კი მაინც მეღორეობის ფერმაა, რომელიც რამდენიმე თვეში სრული დატვირთვით ამუშავდება. ოღონდ საკვები არ უნდა მოაკლდეს პირუტყვს და ამის გარანტიას ტინისხიდის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობა იძლევა, რომელთანაც ეს კოოპერაციაა გაფორმებული.

დედ-მამა — თინა და გურამი!

შვილები — გელა, ლალი, მაია, ნინო!

ერთი ოჯახი!

ღონიერი ოჯახი!

შეკრული, შემჭიდროებული სიყვარულით, შრომით, ერთმანეთისათვის თავდადებით!

რაც მეტს ვშრომობთ, უფრო მეტის სურვილი გვაქვს, — იკითხება მათ სახეზე, ქცევაში, საქმეში.

ყველა სოფელში რომ იყვნენ ასეთი თინა და გურამი!!

ასეთი გელა, ლალი, მაია, ნინო!

ლია კაკაბაძე

ლალი



მაია



ნინო



## გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავი



ეროვნული ბიბლიოთეკა

ია მუხრანელი

# გმირობა

თუ არ გინახავთ ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლები. თუ არ გიხილავთ ფრესკული ფერწერის დიდებულება და არასოდეს გქონიათ შესაძლებლობა მოგენახულებინათ ვარძია, გელათი, ყინწვისი, დავით გარეჯი თუ საქართველოს სხვა დიდი თუ მცირე ტაძრები. შეგიძლიათ შეაღოთ საქართველოს ხელოვნების მუზეუმის კარი, სადაც თვალწინ გადაგეშლებათ ისტორია: ვარძიის ფრესკიდან შემოგანათებთ თამარ მეფის მშვენიერი, დახვეწილი სახე; შეჩერდებით ყინწვისის ანგელოზის წინაშე, დაფიქრდებით და შეიგრძნობთ მისი ფრთების მსუბუქ რხევას, მისი მშვენიერების უკვდავებას, კვლავ და კვლავ მიიპყრობს თქვენს ყურადღებას ახტალისა და წალენჯიხის ტაძართა მოხატულობის მომხიბლავი სილურჯე, უდაბნოს პაპანაქება, დავით გარეჯის ფრესკების თავისებური ლაკონიზმი, პირქუში იერი და ფანტასტიკური სინატიფე. თუ ერთი წუთით თვალს მოაშორებთ ხელოვნების ნიმუშებს, დაიღუნებით და პატარა ფირფიტას დახედავთ, რომელზეც ტაძრის სახელწოდება და თარიღია აღნიშნული, შეგიძლიათ იქვე შავი წვრილი ასოებით დაწერილი ასლის გადამღების გვარი და სახელიც ამოიკითხოთ: „ტ. შევიაკოვა". აი სწორედ ეს გვარი იქნება თქვენი მეგზური, რომელიც დარბაზებს შემოგატარებთ და უძველეს ქართულ ხელოვნებას გაგაცნობთ. ბიჭვინთის ტაძრის მოსახათლავი იატაკის მოზაიკა (მე-5 ს.) დოდოს მთავარანგელოზი (დავით გარეჯი, მე-9 ს), ნილას სახე (ატენის სიონი, მე-9-ს.). ლომზე ამხედრებული მამაი (მე-11 ს. მანგლისი), დიოკლატიანე (ხაიფარი, მე-12 ს.), ამირახისა და დევების ბრძოლა (ლახჯერი, მე-15ს.); მინიატურების ასლი (ადიშის სახარებიდან გადმოღებული, მე-9 ს.) და ვინ მოთვლის საუცხოო მხატვრისა და ასლის გადამღების ტატიანა შევიაკოვას ნამუშევრებს! ხანგრძლივი დროის მანძილზე გაწეულ მის დიდ შრომას რომ აანალიზებ, კაცს უნებურად გიპყრობს აღტაცება, გხიბლავს და გაოცებს ამ უკვე ხანდაზმული ქალის დიდი ხალისი და სასიცოცხლო ენერგია, შემოქმედებითი მგზნებარება და გაბედულება. ის ახლა 75 წლისაა, მაგრამ არ უშინდება შრომის რთულ პირობებს (მას ხომ თვით ტაძრის გუმბათზე, მორყეულ, სახიფათო, თვითნაკეთებ ხარაჩოებზე უწევს მუშაობა) და ქართული ხელოვნებით გატაცებული კვლავაც წუნდაუდებლად ასრულებს ასლებს. გვიფართოებს ცოდნის არეს, გვაზიარებს მშვენიერებას, რაც ყველას როდი შეუძლია. და, რაც მთავარია, საქმე მარტო ტ. შევიაკოვას ოსტატობა და ქართული ხელოვნების სიყვარული კი არ არის, არამედ ამ ქალის დიდი ადამიანური და მოქალაქეობრივი სიმამაცეც!

ყოველ წელიწადს, გაზაფხულის დამდეგიდან დეკემბრამდე (ისევე, როგორც 1950 წელს ვარძიაში) ქალბატონ ტატიანას ხშირად ერთ ნატეხ ორცხობილაზე და ერთ ჭიქა რძეზე გადაუვლია, თვალები აჭრელებია, მაგრამ, წელში გამწყდარს, მაინც არ შეუწყვეტია კალკზე ხატვა, და დიდი მხატვრების საიდუმლოებათა მოზიარეს, ჩვენთვის სრულად გადმოუცია ორიგინალის მომ-

ცირა ქიტიაშვილი

# ნაცნობი ჩემი

ტატიანა შევიაკოვას

მეამაყება ნაცნობი ჩემი,
ასე რომ უყვარს ბებერი გრემი,
რომ უხარია აღმდგარი ჯვარი,
და არ ასვენებს ხახულის ჯავრი...,
საბას სენაკში ღამეებს ათევს,
თამარის თვალთა შეჰხარის ნათელს,
სულში იბეჭდავს გარეჯის ხატებს,
ძვირფას საუნჯეს სიცოცხლეს მატებს.
მლოცველად მდგარი, მჭვრეტი მარტო ცის —
უმზერს არშიას ზეცად ატყორცნილს,
დეკორი ვაზის საოცრად ლურჯი,
უკანასკნელი მშვენება ბურჯის
გამოქცევია, როგორღაც წარსულს
წვიმას, ქარიშხალს, თოვლსა და ავსულს
და განშორება ამ ცისა არ სურს.
ნანგრევთა შორის ფერმკრთალი სახე
როგორც ვარსკვლავი, კრთება ცდომილი.
შორი წარსულის ბურუსში გახვევს
კედელი გოჯით გადაზომილი.
გადმოულახავს ხრამი და ეხემი
და კვლავ რუდუნებს ნაცნობი ჩემი.
ტრფიალი ფერის, ტრფიალი ხაზის,
რასაც კი დროის ბეჭედი აზის
ატირებს ცრემლი ბებერი ვაზის,
აოცებს სიღრმე ქარაგმის აზრის
და სინატიფე ყვავილის ნაზის;

რა საოცარი ჯადო რამ არის
ფრესკა ქართული, ფუნჯი თამამი
შემკული მიწის გრძნეულ ფერებით
ზეცის თაღებით, ცისარტყელებით
ეს ყველაფერი კაცთა ხელებით.
ეს ყველაფერი კაცთა ხელებით,
რა აღტაცება იპყრობს დალოცვილს:
წმინდა გიორგი სამას სამოცი,
ანა, ქეთევან, ნინო, მარიამ
და ამ ხატებთან რა უხარია:
ადამიანი რომ უკვდავია
ადამიანი რომ უკვდავია!
გულსავსე, როგორც ცხოვრების წიგნი,
მეამაყება ნაცნობი იგი.
მას რა ვალი აქვს ამ ცის, ამ მიწის —
გზაც და ბილიკიც ასე რომ იცის.
შიომღვიმეში, ნაბახტევს, ყინწვისს
ყველა ხატთან რომ კელაპტრად იწვის.
ფრთხილად რომ ხატავს მაცხოვრის თითებს
წმინდა სახეებს სანთლებად ინთებს,
რომ უნანავებს ზღაპრებს და მითებს,
ჩვენს ისტორიას ხელს კრძალვით ჰკიდებს
და აღდეგრძელებს კიდევ და კიდევ.
მეამაყება ნაცნობი იგი
გულსავსე, როგორც ცხოვრების წიგნი!

ხიბვლელობა; შეუცდომლად აღუდგენია დაზიანების ნაკვალევი, ნაკვალევი ჟამთა მდინარებისა.

ახლა კი, უკან დავიხიოთ, ტატიანა შევიაკოვას ახალგაზრდობას დავუბრუნდეთ.

ჯერ კიდევ 1925 წელს, პეტროგრადის ხელოვნების ისტორიის სახელმწიფო ინსტიტუტის მეორე კურსის სტუდენტმა ტატიანა შევიაკოვამ დამოუკიდებლად გადაიღო კედლების მოხატულობის პირი. მისი აღმზრდელი და დამრიგებელი ლიდია ალექსანდრეს ასული დურნოვო იყო, — ასლის გადაღების საბჭოთა პროფესიული სკოლის ფუძემდებელი. ხატების ოსტატთა რუსული სკოლა რომ გაიარა, სახელოსნოებში ოსტატობის საიდუმლოებას რომ ჩასწვდა, ლ. დურნოვომ ფრესკების ასლთა გადაღების მხატვრული მეთოდი შექმნა და უკუაგდო მექანიკური ფიქსაცია. ასლის გადამღებს მთელი მხატვრული პროცესი უნდა გაემეორებინა და ის საღებავები გამოეყენებინა, რომლებსაც უძველესი ოსტატები იყენებდნენ. ქალბატონმა ტატიანამ, — ლ. დურნოვოს მოწაფემ, — ბევრი ძველრუსული ძეგლი შემოიარა და დაიწყო მოხატულობაზე მუშაობა. 1926 წელს ბერლინში, ბიზანტიურ-რუსული მონუმენტური ფერწერის გამოფენაზე ტატიანა შევიაკოვას ოთხი ნამუშევარი იყო წარმოდგენილი. 1929 წელს, ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, ყოფილ სტუდენტთა ჯგუფთან ერთად, ის თავისი სურვილით ჩაეწერა ექსპედიციაში (ექსპედიციას ლ. დურნოვო ხელმძღვანელობდა) და საქართველოში ჩამოვიდა. თავის ქმართან — მხატვარ ვ. შევიაკოვთან ერთად ის აქ ცხრა თვე დარჩა, ივნისიდან თებერვლამდე (ჩათვლით) ქართლში, მესხეთ-ჯავახეთში, იმერეთში, რაჭაში, სამეგრელოში, აფხაზეთში 1.200 კილომეტრი გაიარა და ოთხმოცი ტაძარი დაათვალიერა. შემდეგ, საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის შეკვეთით, ახტალის ფრესკის პირი გადაიღო; 15 ოქტომბრიდან 15 ნოემბრამდე კი აკადემიკოს გ. ჩუბინაშვილის ცნობილ ექსპედიციაში მონაწილეობდა, იმ ექსპედიციაში, რომელიც დავით გარეჯის მღვიმეთა კომპლექსს იკვლევდა.

1936 წელს ტ. შევიაკოვამ თავისი ბედი სამუდამოდ დაუკავშირა საქართველოს და მთელი თავისი ცხოვრება ქართულ მასალებზე მუშაობას მიუძღვნა. ამის შემდეგ ის აქ ყოველ წელიწადს ადგენდა ექსპედიციას და თითქმის ორმოცი წელი მოახმარა ამ საქმეს. ამ ხნის განმავლობაში მხატვარმა მონუმენტური ჩუქურთმების 1.000-ზე მეტი შემცირებული ჩანახატი შეასრულა და მოხატულობათა 500 მეტრზე მეტი ასლი გადაიღო. ტ. შევიაკოვას შესრულებული მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნეთა ქართული მოხატულობის მინიატურათა 40-ზე მეტი ასლი შედის ქართული ჩუქურთმების ალბომში, რომელიც დასაბეჭდავად არის მომზადებული.

ქართული ფრესკული ფერწერის ბრწყინვალე ოსტატობის, ჩუქურთმათა მოქნილი და მწყობრი ხაზების სინატიფით გამოხატული დეკორაციულობის, ფორმათა პლასტიკურობის, ფიგურათა მარჯვედ აგების, კარგად მოფიქრებული და ჰარმონიული კომპოზიციის შესწავლამ, ისეთი კომპოზიციის შესწავლამ, სადაც ყველა ფიგურა და ხაზი ურთიერთკავშირშია, ფეოდალიზმამდელი და მომწიფებული ფეოდალიზმის ეპოქების ცოდნამ მხატვარს საშუალება მისცა განესაზღვრა სვანური, ქართლური, დავით გარეჯისა და სხვა სკოლები.

ამასწინათ საქართველოს ტელევიზიის შემოქმედებითმა ჯგუფმა ტატიანა შევიაკოვასადმი მიძღვნილი დოკუმენტური ფილმი გადაიღო, რომელსაც „მთელი მისი ცხოვრება" ეწოდება (რეჟისორი პ. მოდებაძე). გვიჩვენებენ რა დავით გარეჯში მხატვრის მუშაობის ამსახველ კადრებს, ფილმის დამდგმელები გვაზიარებენ შემოქმედის ამაღლებულ გრძნობებს, მის ჭეშმარიტად დიდ ხელოვნებას, თვალნათლივ გვაცნობენ ამ ხანდაზმული მანდილოსნის სულის შრეებს, ქართული ხელოვნებით მის უსაზღვრო გატაცებას, მხატვრის თვალთა გამჭრიახობასა და ხელის სიმტკიცეს, რაც მთელი მისი ცხოვრების მთავარი აზრია. აი ახლაც, ქალბატონი ტატიანა ეს-ეს არის დაბრუნდა სვანეთიდან, საიდანაც ახალი ნამუშევრები ჩამოიტანა, რომლებიც აღადგენს მხატვრული აზროვნების გასაოცარ ძალას, სვანეთის ღვთაებათა თვითმყოფადობას და ამშვენებს ჩვენს მუზეუმს.

ამ მცირე წერილში ძნელია ყველა იმ სამუშაოს ჩამოთვლა, რომლებიც ნიჭიერ ასლის გადამღებს ტ. შევიაკოვას შეუსრულებია. მან ხომ დიდი წვლილი შეიტანა ქართული ხელოვნების ნიმუშების გამოვლინებისა და ამ ხელოვნების ისტორიის შესწავლის კეთილშობილურ საქმეში. და თუ ჩვენ დღეს საქართველოს ხელოვნების განვითარებას კედლების მოხატულობის ასლების მეშვეობით ვეცნობით, ამაში დიდია ღვაწლი ენერგიული, უბერებელი ქალის ტატიანა შევიაკოვასი, რომელიც მთელ თავის ძალღონეს ხელოვნებას ახმარს.

# მოლოდინი



მხატვარი ზაურ დეისაძე

— ჰოდა, სამკუთხა წერილით შემატყობინა ჩემმა ბიჭმა, კარგადა ვარ, მტერს სამარეში ჩავყვები და ავკაცობას არ შევარჩენო. მერე ისიც დასძინა, შეშა თუ გაგითავდეს და საშველი არსაით იყოს, ჩვენი გომური დააქციე და იმის ძელები იხმარე შეშად, მალე ჩამოვალ და ახალ გომურს დავდგამო. რაღა გამაწბილე, ბიჭო! განა დაქცეულ გომურსა ვნანობ, შვილო! ერთი შენი დანახვა მთელ სიცოცხლედ მიღირს! ნეტაი, მართლა აღარა ხარ ამ ქვეყანაზე, ნეტაი, ისე ჩავალ მიწაში, რომ შენი წყლიანი თვალების ნახვა არ მეღირსება? ფოსტალიონმა კი მამიტანა რაღაც „შავი ქაღალდი", შენი ვაჟკაცის სიკვდილის მაუწყებელიაო! აგრემც ჯანი გაშავებია, კინაღამ ძაღლებს დავაგლეჯინე (ღმერთო, მის ხსოვნასაც მოჰფინე ნათელი). იმხელა კაცი იყო და ის კი არ იცოდა, რომ ფარატინა ქაღალდი, ავის მაუწყებელი იქნება თუ კარგისა, ვერასოდეს შემიცვლის ჩემს საყვარელ შვილს! სადა ხარ, ბიჭო!

ასე ესაუბრება საკუთარ თავს მარიამი. ლაპარაკობს და თვითონვე არა სჯერა. წამი წამს მისდევს, საათი საათს ენაცვლება, დღე ღამეს ემშვიდობება, მარიამის ეს სევდიანი მონოლოგი კი დროის მდინარესავით უცვლელია...

...უკვე ოცდაჩვიდმეტი წელია დამთავრდა მეორე მსოფლიო ომი. დიდი ხანია აღარ ჰრჩოლავს შენობათა ნაფუძვრები, დავიწყებას მიეცა ომის ვაება და სიდუხჭირე, მაგრამ დაუვიწყარია იმათი ხსოვნა, ვინც ღიმილის ბიჭებად შემორჩნენ მეხსიერებას.

სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ სოფელ ზოვრეთში გამამწესეს თერაპევტად. მეორე დღეს რაიონის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებაში მივედი და მთავარ ექიმს საგზური დავუდე მაგიდაზე. გაუხარდათ ჩემი მისვლა, სპეციალისტები აკლდათ. ზოვრეთის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარესთან, რომელსაც დაბინავების საკითხი უნდა მოეგვარებინა, კაცი გამაყოლეს. იმანაც გულთბილად მიმიღო.

— მგონი, მარიამი არ გვეტყვის უარს თქვენს მდგმურობაზე, — დაასკვნა ხანმოკლე ფიქრის შემდეგ თავმჯდომარემ, — კარგი ქალია, შვილივით მოგივლის. ახლა კი წავიდეთ და საექიმო პუნქტი ჩაიბარე.

თავმჯდომარე მართალი აღმოჩნდა: მარტო თანხმობა განაცხადა კი არა, მარიამი დიდად კმაყოფილიც კი დარჩა ჩემი მდგმურობით. მარტოხელა ქალია: ერთი ვაჟიშვილი ფრონტზე დაეღუპა, ქმარიც ომის ჭრილობებმა მოინელეს. ოთხმოც წელს გადაცილებული მარიამი, რომლის სახეზე ადრინდელი სილამაზის კვალი ახლაც არ წაშლილა, ისეთი გახარებულია, თითქოს ფრონტზე წასული ვაჟკაცი დაბრუნებოდა. ჩემს საბან-გობანს თავისას ამატებს, ტახტთან ფუსფუსებს და გაუჩერებლად მელაპარაკება აღტაცებული:

— რა მქვიაო, შვილო? სოსო? კარგი სახელი გრქმევია, აგრემც შემორჩი დედაშენსა. რაო? მამა არც შენა გყავს? ფრონტზე დაიღუპა, ჯერ კიდევ შენს დაბადებამდე? ვაი, შვილო. განა მეც იქ არ მივაკარგე ქმარ-შვილი?

მარიამი გაჩუმდა, კედელზე ჩამოკიდებულ სურათებს შეაჩერდა და პირჯვარი გადაიწერა, შემდეგ უცებ გამოერკვა და განწყვეტილი საუბარი განაგრძო:

— ექიმობა მადლიანი საქმეა, შვილო. სოფელს დასაბამიდანვე აკლია კარგი მკურნალი და უებარი წამალი. ალბათ იმიტომა ვართ სოფლის ხალხი ჯანმრთელები, რომ ვისიმე იმედი არა გვაქვს. საჭმელს მე მოგიმზადებ. აბა, ეგ არ გამაგონო, მერე და სად წავიღო შენი მოცემული ფული? ჩიხტაკოპი მე აღარ მჭირდება და შეიდიშის კაბა! ეს ერთი მანდილილა შემომრჩა და კუბოს კარამდე ესეც კარგად მიმაცილებს. აგრე, შვილო, შემორჩი დედასა!..

საოცარნი არიან ომში დაღუპული შვილების მომლოდინე დედები. თვითეულ ადამიანში მახლობელ ხასიათს ეძებენ და, თუ რაღაც მსგავსს მაინც მიაგნეს, წყალწაღებულებივით ეჭიდებიან იმედის ამ ძაფს. თვით ყველაზე მოუთმენარი ადამიანიც კი მომთმენი ხდება და თვინიერად ელის შინმოუსვლელს, ელის იმიტომ, რომ თვითონ

არ დასწრებია ახლობელი ადამიანის სიკვდილსა და დასაფლავებას. ელის იმიტომ, რომ ლოდინი იმედია, მკრთალი და ნაკლებსარწმუნო, მაგრამ მაინც იმედი. იმედი კი ყოველთვის უფრო მაცოცხლებელია, ვიდრე საშინელი სინამდვილე.

დილით, როგორც კი ლოგინიდან წამოვდგები, მაგიდაზე ერთი ჭიქა ცხელი რძე და შოთი პური მხვდება. მარიამს ამ დროს ძროხა მიჰყავს საბალახოდ. ახლაც აივანზე ჩამოდგმული წყლით სავსე კოკით რის ვაი-ვაგლახით დავიბანე პირი. ვისაუზმე და რაიონის ცენტრში წავედი მედიკამენტების გამოსაწერად. ვიფიქრე, პირსაბანს და სხვა და სხვა აუცილებელ ნივთებსაც შევიძენ-მეთქი, ურომლისოდაც ნამდვილად გამიჭირდება სოფელში ცხოვრება.

კოხტა გორაკზეა შემოსკუპული მარიამის სახლი. გარშემო რცხილნარი აკრავს. ეზო სავსეა ხეხილით: ვაშლი გინდა, ატამი, ნუში, მსხალი, კაკალი თუ ლეღვი. სახლის წინ კი ვეებერთელა ცაცხვს გაუშლია ცაში ატყორცნილი ტოტები. ჩემი მოხუცი მასპინძელი მხიარულად, ახალგაზრდული შემართებით მიაბიჯებს ეზოში და მის მხიარულებას ზღვარი არა აქვს. მეზობელმა ვანო ძიამ ერთხელ უთხრა კიდეც, ვერა გცნობო. გასაკვირი არაფერია. ახლაც ხომ მითხრა მარიამმა, ჩემი ბიჭი სულ შენა გგავდა, მისი ბედი ღმერთმა გაშოროს, თუ რამ ცუდი შეემთხვაო. მაინც არა სჯერა!

დილით ადრე წამოვდექი ლოგინიდან. მაგიდაზე ოხშივარავარდნილი რძით სავსე ჭიქა და შოთი პური ეწყო. თვითონ მარიამი არსად მოჩანდა.

ეზოში გამოვედი და თვალები მოვიფშვნიტე. ბედკრული დედა ცაცხვის წინ მუხლებზე იდგა და პირჯვარს იწერდა, შემდეგ ხეს სამჯერ ეამბორა, ცოცხალი ადამიანივით გადაუსვა ხელი, რაღაც წაიჩურჩულა და რის ვაი-ვიშით წამოდგა. საბძლისკენ წავიდა. არც კი დავუნახივარ, ისე შევიდა.

გამაოცა მოხუცი ქალის საქციელმა, მაგრამ არაფერი მიკითხავს. ვიფიქრე, ალბათ რაიმე რელიგიური რიტუალი თუ შესრულა-მეთქი. სამსახურიდან საღამოს დავბრუნდი. მარიამი საჩეჩელთან იჯდა და გულმოდგინედ ჩეჩავდა ბამბასავით თეთრ მატყლს.

— წინდები უნდა მოგიქსოვო, შვილო, სოსო. ჩვენში ცივი ზამთარი იცის და შენი თხელი წინდები აქ არ გამოგადგება...

მეორე დილითაც დავასწარი ადგომა მარიამს. ისევ წინა დღის ამბავი განმეორდა: ეზოში ჩამოსულს გვერდზე არც კი გაუხედავს. პირდაპირ ცაცხვთან მივიდა, მუხლებზე დაიჩოქა, პირჯვარი გადაიწერა და სამჯერ აკოცა...

მეორე დღეს საექიმო პუნქტში ჩვენი მეზობელი ვანო ძია ამოვიდა. მარცხენა ხელს იტკიებდა. გავსინჯე. მარილების დაგროვება ჰქონდა. წამალი გამოვუწერე და საუბარი გაგვიგრძელდა.

— ვანო ძია, ნეტავი რატომ დგება ყოველ ცისმარე მარიამ ბებო და რატომ ეფერება ცაცხვის ხეს?

— ძნელი მისახვედრი აქ არაფერია, შვილო. ეგ ცაცხვის ხე მარიამის შვილმა სოსომ დარგო ფრონტზე წასვლის წინა დღეს. მხოლოდ ის შემორჩა ხვალინდელი დღის იმედად უბედურ ქალსა, ამიტომაც ეფერება შვილივით...

ამ ამბის შეტყობის შემდეგ მეც ისეთივე მოწიწებით და რუდუნებით ვეპყრობოდი ცაცხვის ხეს, როგორც დიდედა მარიამი. ზოგჯერ მინდოდა გავსაუბრებოდი კიდეც, მაგრამ ახალს ვერაფერს მეტყოდა, ერთი ხნისანი ვიყავით. მოხუც ქალს ისე შევეჩვიე, რომ „დედას“ ვეძახდი. ახლა თქვენ მარიამი უნდა ნახოთ! ერთხელ თანამშრომელი ექიმი გავაცილეთ პენსიაზე და რესტორანს თითქმის დილამდე შევრჩით. ჰო, რა დღე დამაყარა! ამის შემდეგ დაგვიანება აღარ გაბედო, შენს ლოდინში თვალი არ მომიხუჭავსო, მიწყრებოდა, მაგრამ ვგრძნობდი, რომ გულით მეფერებოდა. ხელი მოვხვიე და ბოდიში მოვიხადე მის წინაშე, ზუსტად ისე, უნებლიედ განაწყენებულ დედას რომ მოუბოდიშებენ ხოლმე.

გადიოდა დრო. უფრო და უფრო მხიარული გახდა მარიამი. იშვიათად თუ მოეძალებოდა სევდა, ისიც ჩემი შინ არყოფნის დროს. თვითონ მეუბნებოდა ასე და მეც მჯეროდა.

ერთ დღეს სასიამოვნო ამბავი მომივიდა თბილისიდან: რაიონის მთავარმა ექიმმა ბრძანება გადმომცა — ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ, თურმე, მეზობელ რაიონში გადამიყვანა საკმაოდ დიდი საავადმყოფოს მთავარ ექიმად. გამიხარდა დაწინაურება. წამსვე დედობილთან გავიქეცი და მივახარე:

— მთავარ ექიმად გადავყავარ, დედი, მეზობელ რაიონში. აი, ბრძანება. დარდი ნუ გექნება, ხშირად ამოგაკითხავ!

დილით ადრე ავდექი. ათ საათზე მანქანა ამოვიდოდა და ჩემი ბარგი-ბარხანით რაიონში ჩამომიყვანდა. ჩემოდნის ჩალაგებას შევუდექი. ამ დროს გვერდით ოთახიდან მარიამი გამოვიდა, ხელში პატარა ბოხჩა ეჭირა, გასამგზავრებლად გამზადებულიყო, მაგრამ სად?..

— საით ეპირები, დედი? — გულმა რეჩხი მიყო, რადგან მარიამს უზომო სევდა შევნიშნე თვალებში.

— შენთან წამოვალ, შვილო, მე შენ ვეღარ დაგშორდები. ჩემი სოსო მგონიხარ, რომ გიყურებ. მეყო ამდენი ლოდინი, შენღა შემომრჩი სიბერის იმედადა. ნუ გეშინია, ხელს არ შეგიშლი, დედასავით მოგივლი, მზრუნველობას არ მოგაკლებ. მხოლოდ ეგ არის, ცაცხვზე მწყდება გული, გახმება უჩემოდ, მოვლას არის მიჩვეული ცოცხალი ადამიანივით...

სიტყვა ვეღარ დააბოლოვა. ვიცოდი რომ ტიროდა. ჯიბიდან შეუმჩნევლად ამოვიღე სამინისტროს ბრძანება, მაგიდაზე უგულოდ დავდე და ჩემოდნის ამოლაგებას შევუდექი.

**როლანდ ჯალაღონია**

ქართული ბიბლიოთეკა

## ლუდმილა ოლზოევა

* * *

ფოთოლი, ხელისგულის ოდენა,
ტოტიდან დაბლა დაეშვა უცებ.
თუ დაიხრები მიწისკენ ოდნავ,
გაიგებ, მასაც გული რომ უცემს.

სულში რა მწველი სევდა ინთება,
ფოთოლცვენა რომ ამღვრევს ქვეყანას..,
ინანებ ზამთრის პირზე თვითონაც,
რომ გულს წუხილი არ გაეკარა.

რად არის ჩემთვის ასე ნაცნობი
გაყვითლებული ხეების სევდა,
როცა ფოთლები მხრებზე მაცვივა,
რატომ მოვყავარ ოცნებას შენთან.

მარტოდ ყოფნაში წლები მიჰქრიან,
უშენოდ ყოფნის დღეებიც ვთვალე.
მიწას ფოთოლი ისე მიჰკვრია.
როგორც ლურჯ ზეცას ყვითელი მთვარე.

* * *

შავი პურით ვიცხოვრებ და გავძლებ,
შავი ქარი ვერ დამიმსხვრევს ანძებს,
შავი სევდაც ვერ დამაკლებს ვერას,
მოვერევი საკუთარ თავს, მჯერა,
უიღბლობის სამსალასაც შევსვამ, —
სიამაყეს ხელს ნუ ახლებთ ჩემსას.

დარჩეს ყველა კალაპოტში წყალი,
სახეს მწვავდეს უდაბნოში ქარი,
როგორც თავთავს, მწვავდეს მზე ერთთავად,
ბოლოს მაინც ხომ მიწაში ჩავალ,
ამიტომაც ჩემი თხოვნა გესმათ, —
სიამაყეს ხელს ნუ ახლებთ ჩემსას.

ბურიატია

თარგმნა ალექსანდრე ტაბატაძემ



# ევგენია კვეზერელი-კოპაძე

წინამდებარე წერილში მსურს აღვნიშნო ერთი იშვიათი ადამიანის, ექიმი პედიატრის ცხოვრება და მოღვაწეობა, რომელმაც თავისი ხანგრძლივი ნაყოფიერი შრომით საერთო სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა.

1910 წ. გამოჩენილი რუსი მწერლის ლევ ტოლსტოის გარდაცვალებასთან დაკავშირებით რუსეთის საუნივერსიტეტო ქალაქებსა და პეტერბურგში სტუდენტთა რევოლუციური გამოსვლები დაიწყო, რომელთა მიზანი იყო რეფორმების განხორციელება და სიკვდილით დასჯის გაუქმება.

პეტერბურგის ქალთა სამედიცინო ინსტიტუტში გაფიცვა მეტად გამწვავდა, რის გამო ინსტიტუტი დახურეს და 1200 სტუდენტი ქალი გარიცხეს. დათხოვნილთა შორის მესამე კურსის სტუდენტი ევგენია ლეონტიევაც გახლდათ. რუსეთის მოწინავე, პროგრესულმა ძალებმა შესძლეს გავლენა მოეხდინათ მთავრობაზე და გარიცხული სტუდენტი ქალები ინსტიტუტში აღადგენინეს.

ევგენიასთან ერთად ეს ინსტიტუტი ორმა ქართველმა ქალმა დაამთავრა: ანა ლორთქიფანიძემ, შემდეგში იურისტ პეტრე ქავთარაძის მეუღლემ და ვერა კაკაბაძემ, მწერალ ლეო ქიაჩელის ცოლმა.

ქალთა სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, 1914 წელს, ევგენია თავის მეუღლესთან ნიკო კვეზერელ-კოპაძესთან ერთად თბილისს გამოემგზავრა.

იმავე წელს თბილისში ქალაქის პირველ საავადმყოფოს ტერიტორიაზე გაიხსნა ქალაქის ბავშვთა საავადმყოფო. ბაქოელმა ნავთმრეწველებმა — ძმებმა ზუბალაშვილებმა ბავშვთა საავადმყოფოს ასაგებად დიდი თანხა შესწირეს. ამ საავადმყოფოს გამგედ და მთავარ ექიმად დანიშნეს თბილისის ცნობილი ექიმი პედიატრი ნერსეს უმიკოვი. 1914 წლის სექტემბერში ევგენია ამ ახლადგახსნილ საავადმყოფოში ორდინატორად მიიღეს, სადაც მან გარდაცვალებამდე — თითქმის ნახევარი საუკუნე იმუშავა.

ევგენია ავადმყოფი ბავშვის ქცევითა და გარეგნული ნიშნებითაც კი სვამდა დიაგნოზს. ახლობლები ურჩევდნენ, დისერტაცია დაიცავიო, მაგრამ იგი ყველას უპასუხებდა, „მე დისერტაციისათვის არა მცალია, ჩემი დისერტაცია ოთხი შვილის გამოზრდაა, თავის ქვეყნის ღირსეულ ადამიანებად, შრომისმოყვარე მოქალაქეებადო.

პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ სათანადოდ დააფასეს ექიმის თავდადებული შრომა და მას საქართველოს დამსახურებული ექიმის წოდება მიანიჭეს, ლენინის ორდენითა და მედლებით დააჯილდოვეს. იგი ხუთჯერ იყო არჩეული თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატად.

ევგენიას ერთი კეთილი ჩვეულება ჰქონდა — ქმრის მრავალრიცხოვანი ნათესაობა გაფანტული იყო ქართლ-კახეთის სოფლებში, რომელთა შვილებიც ადგილობრივი სკოლების დამთავრების შემდეგ ვერ ახერხებდნენ თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის გაგრძელებას. ევგენიას თავის ოჯახში მუდამ ჰქონდა მათთვის ადგილი. ასე გამოზარდა მან რამდენიმე ახალგაზრდა, რომლებიც დღეს მოღვაწეობენ აგრონომად, საშუალო სკოლის დირექტორად, იურისტად და სხვა.

ეს კეთილშობილი რუსი ქალი ყველას უყვარდა და ყველა პატივსა სცემდა, ისიც თავს არ ზოგავდა, დახმარება აღმოეჩინა გარშემომყოფთათვის.

ევგენია არ სწყვეტდა კავშირს რუს სამყაროსთან. შვილებს კარგად შეასწავლა რუსული ენა. მჭიდრო კავშირი ჰქონდა თავის ექვს დასთან, რომლებიც მოსკოვში ცხოვრობდნენ და ხშირად ჩამოდიოდნენ თბილისში...

ევგენია ექვსი წელი ლოგინად ყოფნის შემდეგ 1965 წლის 7 მარტს 75 წლისა გარდაიცვალა, გარშემორტყმული შვილებით და დიდი შთამომავლობით.

ახალგაზრდა რუსი ქალიშვილი ჩამოვიდა საქართველოში, მთელი არსებით შეიყვარა საქართველოს იშვიათი, მომხიბლავი ბუნება, ქართველი ერი, მისი უძველესი კულტურა, შექმნა მყარი, მრავალრიცხოვანი ოჯახი და თავისი დიდი ნიჭი, გამოცდილება მთლიანად მოახმარა ბავშვთა მკურნალობის საქმეს.

## ზინა სოლომნიშვილი

ვიხა გწყურიათ? —
ხალხში ვყვირი
მთელი ძალღონით,
და ჩემი გული
ტრფობით სავსე
დამაქვს — ორშიმო...
რას მიმანიშნებს
ღვინო
თვალის პაჭუნ-ჩხლაკუწით
ლამის სულყველას
დამრიოს და
დამაკილცნინოს..,
ცაო,
ქუდივით ატყორცნილო,
და ასროლილო,
მზეო,
ყველასკენ ღმერთკაცივათ
ხელ-გამოწვდილო...
ათიათასჯერ
გარეცხილო
პაპათა სისხლით,
ჩემო ქვეყანავ,
რა ტკბილი ხარ,
შე დალოცვილო!..

* * *

ბროლ მხრებზე ვიყრი
ველურ ყვავილებს,
გეკეკლუცები? —
მეც ხომ ქალი ვარ!
ვინ დაგაჯერა
ჩემი სიკვდილი,
როცა გიყვარვარ
მე ცოცხალი ვარ!
ქარში
სხივებად გაშლილი თმები
და ალანძული
დამაქვს ლოყები...
იმედი გქონდეს,
იმედი გქონდეს,
სანამ გახსოვარ,
მე არ მოვკვდები...



ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიამ კიტრის სუნი იგრძნო. თითქოს იქვე გათალეს, მას კი არ მიაწოდეს; გაბუტულივით დადიოდა; ჰემინგუეი გადაშალა. ზღვის ტალღის ხმაური მოესმა, თვალწინ მოხუცი წარმოუდგა.

— მარტო კაცი ჭამაშიაც ცოდვაა, ზღვას შებრძოლებულ მარტოკაცს ხომ რაღა ეთქმის! — გაიფიქრა და მუცელზე დაიხედა, ფიქრი ვეღარ დაამთავრა ლიამ და კვლავ კიტრის სუნი ეცა. აივანზე გავიდა მტვრის ტილო გადაბერტყა. ლარნაკს ადგილი შეუცვალა, ყვავილები შეასწორა, მაგრამ ისევ წამოუარა იმ კიტრის სუნმა, ნესტოებში შეუძვრა და ნდობის ნერწყვი პირზე მოადგა.

კედლის საათი დროს ითვლიდა, გურამის მოსვლას ახლოებდა, მაგრამ მისი გაუთავებელი ტიკ-ტაკი ახლა გულს უწყრილებდა.

გურამის დედა საქსოვს ჩაჰდომოდა. თითქოს დღეს დამკვეთს ელოდა, გამალებით ქსოვდა. როგორც იყო, გურამიც მოვიდა.

— პალტოს ნუ გაიხდი, იქნებ ბაზარში წახვიდე, კიტრი მინდა ძალიან, — გაწითლდა და იატაკის ტილო შეასწორა.

— მოიცა, ვისადილებ მაინც! — თითქოს ცივი წყალი გადაასხესო, ისე დაურბინა ამ სიტყვებმა ლიას მთელ სხეულში. სამზარეულოში გავიდა და იქვე სადილი გაუწყო ქმარს. მაგრამ აქაც, ფანჯრის ჭუჭრუტანაში შემოეპარა და მაინც და მაინც ლიას ეცა ცხვირში კიტრის სუნი.

— სულ ერთი პატარა ნაჭერი. — წაიბურტყუნა და, თითქოს ტირილს აპირებსო, კედლისკენ შებრუნდა.

— იცი, რა ამბავი იქნება ტრანსპორტში, ახლა პიკის საათია! მოდი ვაშლი შეჭამე! — შესთავაზა გურამმა.

— არა, კიტრი მინდა!

— ო-ო-ხ, შენ კიდევ მოიცადე, ტელევიზორში მაინც ვუყუროთ ფრენბურთს, ალუბლის წვენი გახსენი, იქნებ გიშველოს.

— არ მინდა, მე არა ვარ დამნაშავე, ისე მინდა, რომ არ ვჭამო, მგონია მოვკვდები. მე კი არა, ალბათ დათოს უნდა.

ლიამ და გურამმა ერთდროულად შეხედეს მუცელს, თითქოს მართლა დათოს დაინახავდნენ.



# გახსენება

სახელოვან პედაგოგთა დიდ არმიას გამოაკლდა საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი, პარტიისა და კომკავშირული მუშაობის ვეტერანი, ლენინისა და შრომის წითელი დროშის ორდენების კავალერი თამარ აბაშმაძე.

ქალბატონი თამარი ჩვენი ჟურნალის ყოფილი რედაქტორის თეო აბაშმაძის და გახლდათ. ჩვენგან ნაადრევად წასულმა თეომ ხომ ჟურნალის კოლექტივსა და მის მრავალათასიან მკითხველს აგრერიგად დასწყვიტა გული.

მოგვიანებით მის გზას თამარიც მიჰყვა... ისიც ისევე, როგორც ქალბატონი თეო, ნაადრევად, ჯერ კიდევ კომკავშირულ ასაკამდე ჩაბმულა გურიის არალეგალურად მომუშავე ბოლშევიკურ წრეებში და მათი აქტიური ხელისშემწყობი და თანამონაწილე გამხდარა. დებმა საინტერესოდ განვლეს მთელი თავიანთი შრომითი საქმიანობა, ერთი მრწამსითა და შეგნებით იცხოვრეს. მათ მუდამ პატიოსნება, სინდისი, ადამიანებისადმი დახმარება ახულდგმულებდათ.

თამარს განსაკუთრებით ყვავილები და ბავშვები უყვარდა. მის ერთადერთ ქალიშვილს ყვავილნარი დაუტოვა მოსაგონებლად. როცა ვეტერან ქალთა საბჭომ ძნელად აღსაზრდელი ბავშვების მეთვალყურეობა დააკისრა ის დიდი პასუხისმგებლობით შეუდგა ამ მეტად ფაქიზი მოვალეობის შესრულებას და სიცოცხლის ბოლო წუთამდე არ შეუნელებია ბავშვებისადმი ყურადღება. მოზრდილი ბიჭუნა, დედისაგან მიტოვებული, კედელთან ატუზული, ცრემლებს რომ ვერ იკავებდა, სწორედ ერთ-ერთი იმათგანი გახლდათ, რომლებსაც სჭირდებოდა თამარ დეიდას სითბო და ალერსი, პედაგოგიური ალღო და დახმარება. რომელიც არ აღირსეს გულქვა მშობლებმა. და კიდევ რამდენი იყო ბედით დაჩაგრული... და თამარიც დიდი სიყვარულით უწილადებდა მათ სითბოს, ალერსს, ყურადღებას...

თამარ აბაშმაძე სსრ კავშირის ისტორიასა და სსრ კავშირის კონსტიტუციას ასწავლიდა სხვადასხვა დროს თბილისის სკოლებში. დრომ თავისი გაიტანა — თამარს ჯანმრთელობა შეერყა, მაგრამ საზოგადოების აქტიური წევრი კი ყოველთვის გახლდათ. მას ღრმა რწმენა ჰქონდა იმისა, რომ ვალმოხდილი, ოთხკედელს შუა გამოკეტილი ან სარეცელს მიჯაჭვული პენსიონერი კი არ იყო, არამედ — აქტიური, ახლობლებისათვის და მეგობრებისთვის მზრუნველი, სიცოცხლის ბოლო წუთებამდე მათთვის თავდადებული და მოამაგე ადამიანი.

**ნანული ბუკია**

# კიტრის სუნი

ამას კი ველარ გაუძლო გურამმა და წასასვლელად მოემზადა.

სად მიდიხარ შვილო! — შეეხმიანა დედა.

ახლავე მოვალ.

„ახლავე“ ორ საათად გადაიქცა. ბაზარში გურამმა კიტრი ვერ იშოვნა, უკვე გვიანი იყო. რამდენიმე რესტორანი შემოირბინა, ორგან კი ჰქონდათ, მაგრამ უარი უთხრეს, — ჩვენც არ გვყოფნისო.

— არა, ახლა პირდაპირ კიტრს როდი მოვითხოვ. ვეტყვი, ვთხოვ: ცოლი მყავს ავად, ან საერთოდ ავადმყოფი მყავს მეთქი. ამ ფიქრებით გურამი სასტუმრო „თბილისის“ კარს მიადგა კიდეც.

— იცით, ცოლი მყავს... მაგრამ ვინ დაამთავრებინა.

— ო-ო-ო! — აი ეს გვესმის, ასეთები არიან ქალები. რასაც მოინდომებენ, გინდა მოკვდი, უნდა უშოვნო. რამდენი შენი ჭირიმე? — დატრიალდა კიტრივით ჩასუქებული კაცი.

ერთ ცალს მაინც ვიშოვიდეო ფიქრობდა გურამი ერთი წუთის წინ და ახლაც ის იყო ერთი ცალი უნდა ეთხოვნა, რომ უცებ მოისაზრა, ესარგებლა შემთხვევით, — ერთი კილო — ენის ბორძიკით ამოილუღლუღა.

— მერამდენე თვეშია? — შეეკითხა გამყიდველი; თან თეფშზე კიტრს ყრიდა.

— მეცხრეში, — გურამმა უხერხულობისაგან კისერი უფრო ღრმად ჩაყო პალტოს საყელოში.

— კარგია, ჩემიც მეცხრე თვეშია. სამშობიაროში შევხვდებით ერთმანეთს. კიტრივით კაცმა თეფშზე თითიც არ დააკარა, ისე აწონა კიტრი.

— სად იყავი, შვილო!

— ლიას კიტრი უნდოდა, ყველა ბაზარი მოვიარე, ძლივს ვუშოვნე რესტორანში — გამარჯვებულის ღიმილით ახარა დედას და მაგიდაზე კიტრი წამოყარა.

ლიამ ყველაზე დიდი კიტრი აილო, სასწრაფოდ გათალა, ოთხად გაჭრა, ჯერ თვითონ ჩამოაცალა ერთი ნაწილი და შემდეგ ქმარსა და დედამთილს მიაწოდა.

— შენი ცოდვით განა იჭმევა? ზედაც არ შეხედა დედამთილმა და ქსოვა გააგრძელა. გურამი ცოლის წინ პატარა სკამზე წამოსკუპულიყო, კიტრს ჭამდა და ლიას შეჰყურებდა. ახლა იგრძნო რომ დაღლილიყო..

— კიდევ შეჭამე. უთხრა გურამმა, ხვალ კიდევ მოგიტან, ლიამ დამნაშავე ბავშვივით შეხედა გურამს:

— მეტი აღარ მინდა...

— როგორ! — შეცბუნდა გურამი, ერთიც ვერ შეჭამე.

— მეტი არ მინდა!

— რა?... გაძეხი? ამისთვის მარბენინე?!

— ჰო, რა ვქნა!

გურამმა გაიცინა, ლიას მიეფერა.

— ბანანი ხომ არ გინდა?

— არ...ა!

— ნუ მოგერიდება, ახლა უკვე ვიცი, როგორ ვიშოვნო, ორი საათიც რომ მომცე, მოსკოვიდან ჩამოვიტან.

დედა ხმას არ იღებდა, საქსოვს ჩაჰკირკიტებდა. ლია ხელის დასაბანად სამზარეულოში გავიდა, თან დარჩენილი კიტრი გაიტანა.

— რა ახირება და მოუთმენლობაა. სად იყო ჩვენს დროს ასეთი პირობები? — შუა ზამთარში კიტრი, მაგრამ შვილებს კი ვაჩენდით და ვზრდიდით. — იქვე დაადევნა დედამთილმა რძალს, მაგრამ იგი მხოლოდ გურამმა გაიგონა, რომელმაც დედას არაფერი უპასუხა.

მეორე დღეს ლიას კიტრი სულ არ გახსენებია, მესამე თუ მეოთხე ღამეს ლია კიტრის სუნმა გააღვიძა. ის იყო აივანზე გასვლა დააპირა შემოსატანად, რომ ექიმის ნათქვამი გაახსენდა, ფეხმძიმე ქალი უნდა ერიდოს გაციებას და შეშინებასო. გურამის გაღვიძება შეენანა, ბალიში გადააბრუნა და იწვა, იქნებ დამეძინოსო. ისევ იმ კიტრის სუნმა წამოუარა, აი თითქოს ენაც დაუსუსხა ახლად მოწყვეტილმა კიტრმა, ნერწყვი მოადგა.

— გურამ, გურამ, — ფრთხილად, შეპარვით ეძახდა ქმარს, — გეხვეწები კიტრი შემომიტანე!

— უხერხულია, რა დროს კიტრია, დედა რას იტყვის! — ნამძინარევი ხმით უთხრა გურამმა და გვერდზე გადაბრუნდა.

მეორე დღეს ლიამ დედამთილს დედა ველარ დაუძახა.

რ. ირემაშვილი

## სასარგებლო რჩევები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღორის ხორცი, რომ კარგად დაიბრაწოს და გემრიელიც გამოვიდეს, აეროღუმელში შედგმამდე დანის პირით ზედაპირზე რამდენიმე ადგილას ღრმად ჩაჭერით.

შეწვის დროს ცხიმის ნაკლები შხეფები გადმოცვივა, თუ ტაფაზე ცოტაოდენ მარილს დააყრით.

*

ფაიფურის ჩაიდანს ყავისფერი ნალექი იოლად მოსცილდება, თუ კი ხაღამოთი მასში ცხელ ხოდიან წყალს ჩაასხამთ, დილით წყალს გადმოღვრით, ჩაიდანს შიგნიდან გამოწმენდავთ და სუფთა წყალს გამოავლებთ.

*

მელნის ლაქები გლიცერინით ამოჰყავთ: დალაქავებულ ადგილს ერთი საათი გლიცერინში აჩერებენ, შემდეგ კი ოდნავ მარილიან წყალში ავლებენ, თუ კვალი მაინც დარჩება თბილი საპნიანი წყლით რეცხავენ.

*

შემჭკნარი ყვავილი გამოცოცხლდება, თუ წყალში ასპირინს დაუმატებთ (სამ ლიტრ წყალზე ნახევარი აბი).

*

სახლის მოწითალო ჭიანჭველები ასე შეიძლება მოიშოროთ. საფუარის („დროჟი“) კაკლისოდენა ნაჭერი და ერთი სუფრის კოვზი შაქრის ფხვნილი ცოტა წყალში გახსენით (შეგიძლიათ ცოტა თაფლიც დაუმატოთ) და გულდაგულ აურიოთ. შემდეგ ეს ნაზავი გაანაწილეთ ცარიელ ასანთის კოლოფებში და იმ ადგილებში სადაც ჭიანჭველები გეგულებათ ნახევრად თავღია დააწყვეთ. რამდენიმე დღეში ჭიანჭველები მოისპობა.

*

ბუზების მოსაწამლად ჩაის კოვზი დაფქვილი შავი პილპილი აურიეთ ორ კოვზ შაქრის ფხვნილში და დასრისეთ ცოტაოდენ რძეში. შემდეგ ეს ნაზავი ლამბაქებზე დაასხით და სადაც ბუზები გროვდება იმ ადგილებში დადგით.




# რედაქციაში წერილი მოვიდა

ძვირფასო რედაქციავ! მოუთმენლად მოველით ჟურნალ „საქართველოს ქალის“ ყოველ ახალ ნომერს. ჟურნალი განსაკუთრებით ახალგაზრდა დიასახლისებს, როგორც საოჯახო საქმიანობას, ისე ოჯახური ურთიერთობის ამბავსაც გვასწავლის. ბევრი, ძალიან ბევრი საინტერესო საკითხი შუქდება ჟურნალის ფურცლებზე.

ჟურნალ „საქართველოს ქალის“ № 2-ში „უკან დაბრუნებული მინა“ წავიკითხეთ და შევიტყვეთ, რომ, თურმე ყოველნაირი მინის ჩაბარება შეიძლება. მაგრამ ჩვენი სიხარული ნაადრევი აღმოჩნდა. მანგლისში მინის მიმღები პუნქტი ლვინისა და ლიმონათის ბოთლების გარდა არავითარ მინის ჭურჭელს არ იბარებს. ჩვენ კი იმდენი მინის ტარა გვიგროვდება, რომ არ ვიცით სად წავიღოთ. იძულებული ვართ გავიტანოთ და ხევში გადავყაროთ. გთხოვთ თუ შესაძლებელია, დაგვეხმაროთ ამ საქმის მოგვარებაში.

დიასახლისები გულივერდაშვილი, მარიკაშვილი

ამ წერილის თაობაზე ცეკავშირის გამგეობამ რედაქციას უპასუხა:

1982 წლის 18 ნოემბერს ცეკავშირის გამგეობამ მიიღო დადგენილება: რესპუბლიკის მრეწველობის საწარმოთა მინის ქილებით (განსაკუთრებით 3,0 და 1,0 ლიტრის ტევადობისა) უზრუნველყოფის საქმეში შექმნილი შეფერხებების გამო დაევალოს ყველა კოოპორგანიზაციას მინის ქილების შესყიდვა-შეგროვება.

გეგმა-დავალების წარმატებით შესასრულებლად შარშანდელი წლის 20 ნოემბრიდან წლის ბოლომდე, სისტემაში ჩატარდეს მინის ქილების შესყიდვა შეგროვების ერთთვიური.

მოსახლეობა 3,0 და 1,0 ლიტრის ტევადობის ქილების ჩაბარებით რომ დაინტერესდეს, ამისათვის ადგილობრივ კოოპერატივის ხელმძღვანელობამ მინის ტარის შესყიდვის პუნქტებს გამოუყოს ფართო მოხმარების სამრეწველო საქონელი.



# წერილი არ დაბეჭდილა, მაგრამ...

დუშეთის რაიონის კაწალხევის, ხომშის, ინოშის და კაწალხევისკარის პენსიონერები „საქართველოს ქალის“ რედაქციას წერდნენ, რომ ოთხი თვეა ამ სოფლებში შეწყვეტილია ელექტროენერგიით მომარაგება. დენის უქონლობის გამო შეფერხდა ფერმის მუშაობა. ბინები ჩაბნელებული გვაქვს, არაფერს ვიტყოდით, მაღაზიაში ლამფის შუშები მაინც რომ იყოს.

ამ წერილის თაობაზე დუშეთის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ფ. ფრიდონაშვილი გვატყობინებს: შარშანდელმა გაზაფხულ-ზაფხულის წყალდიდობამ რაიონში და მათ შორის ფშავში დაანგრია გზები, ხიდები, ელექტროგადამცემი ხაზები.

აღნიშნულის აღსადგენად საჭირო მასალების შემოტანა გაჭიანურდა, რის გამოც სამ თვეზე მეტ ხანს ზემოთ აღნიშნულ სოფლებში ელექტროენერგიის მიწოდება შეწყდა. ამჟამად კაწალხევისკარში, ინოში, კაწალხევში, ხომში, ელექტროგადაცემის ხაზები აღდგენილია, ლამფის შუშები კი მართლაც დიდი ხანია არ გაყიდულა მთის რაიონის მაღაზიებში. ახლა ჩვენი დავალებით რაიკოოპკავშირის გამგეობამ ლამფის შუშები გასასყიდად შემოზიდა.

გარეკანის პირველ გვერდზე — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ჯ. ი. პატიაშვილი ბავშვებთან.

რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი

სარედაქციო კოლეგია: გ. ბანძელაძე, ნ. გაფრინდაშვილი, ნ. გურგენიძე, ლ. კაკაბაძე, ზ. კვაჭაძე, ნ. კილასონია, თ. ლაშქარაშვილი, ქ. ლომთათიძე, ნ. ჟვანია, პ. ულენტი, ც. ტერელაძე (მხატ. რედაქტორი), ნ. ზალუტაშვილი, ლ. შეწირული, ნ. ცაგარეიშვილი, ნ. ჯავახიშვილი, ე. ჯაფარიძე (პ. მგ. მდივანი).

ტექრედაქტორი ნ. ბუკია

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №№ რედაქ ტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68, მხატვრული რედაქტორის — 93-98-57. საერთო განყოფილების 93-98-54, გადაეცა ასაწყობად 8 XII-82 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 18.I-83 წ. ქაღალდის ზომა 60X $^1/_2$. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5. 8.

ტირაჟი 127 500. შეკვ. 2912 უე 06901




ჩემგან გაწვალებულო, მაგრამ აწ და მარადის ბედნიერო ჯულიეტა! როცა ამ წერილს მიიღებ, შეიძლება შენი რომეო ცოცხალი აღარ იყოს, ამიტომ უკანასკნელი სათხოვარი შემისრულე: გადაეცი ჩემს შვილებს, მათს მომავალ შვილებს, შთამომავლობას, რომ მე დავიღუპე ღირსეულად, უთანასწორო სმაში (თითო კაცზე მოდიოდა: ხუთი ყანწი, სამი უშველებელი კათხა, ორი მოზრდილი ვაზა, ორი ქვასანაყი, ერთი საყვავილე და შვიდი ჩვეულებრივი ჭიქა).

მე ვაჟკაცურად დავეცი გაწყობილ სუფრასთან. მიტევდნენ სანშისებით, მაგრამ ერთი ნაბიჯიც არ მომიცვლია მაგიდიდან. პირიქით, წინაპრების სადღეგრძელო რომ შევსვი, ჯერ „შალახო" ვიცეკვე, მეღოლეს გატკიცინებული ოცდახუთმანეთიანი მივაკარი ბრტყელ შუბლზე და, მართალია, იატაკიდან ცხვირსახოცის კბილით აღების დროს მარჯვენა ფეხი მელრძო კოჭში, მაგრამ მაინც დავცალე ლიტრიანი ყანწი და უშიშრად გავარღვიე მაგიდის წინა ფლანგი, ადვილად გადავლახე სეფის შუაგული, სიმწრით მოვიგერიე ადგილობრივ მსმელთა შემოტევა, სასმისების წვიმაში უჩუმრად გავძვერი ერთმანეთთან სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაკიდებულ მსმელთა არეულ ტალღაში და როხროხა თამადას მარტოხელა შევები. უკანასკნელ წვეთამდე ვსვამდით. თამადას ახალი ფხიზელი ძალები წამოეშველნენ ზურგიდან, ზოგი ჯამით, ზოგი — ჰინჭილათი. მე ნეფე-დედოფლის მხარეს გადავინაცვლე, დროებით იქ გავმაგრდი — რამდენიმე ლუკმის გადაყლაპვა მოვასწარი და ყველას გასაკვირვად დიდი ყანწი მოვითხოვე.

თამადა არ დაიბნა, სტაცა ყანწს ხელი, შეავსო და იმდენ ხანს'ში თავი მომჭრა — სულმოუთქმელად გამოცალა, მერე მოადგილეებთან ერთად ღვინით სავსე საყვავილით შემომარტყა ალყა და ხალხის თვალში თავის მოსაწონებლად შემომძახა, დამნებდიო.

„თავს არ მოიკლავს ქართველი, არა, ის, შეიძლება ბრძოლაში მოკვდეს". მომაგონდა ეს სტრიქონები და გამხნევებულმა უკანასკნელი ძალა მოვიკრიბე, წელზე შემოჭერილი ქამარი მოვიშვი, არწივივით გადავხედე მოქეიფეებს და უზარმაზარი ბროლის საყვავილე პირზე მოვიმხე...

— არ შეგვარცხვინო, სიმონ; დაცალე! — ილრიჭებოდა ჩემს წინ მჯდომი ვიღაც კაცი, რომელსაც თავი ლოტოს კოჭს მიუგავდა.

— კაცი ვარო შენ უნდა თქვა! — ცალყბად, ირონიულად მაქეზბდა მეორე — ცხვირი რომ ანკესს მიუგავდა და თავი — მწიფე ნესვს.

მერე ყველაფერი ერთმანეთში აირია — ყანწი, გაბერილი თამადა, ლოტოს კოჭი, ნესვი...

გონზე რომ მოვედი, თვალუყუყუნა, ნახევრადმძინარე ექიმი ქალი მაჯას მისინჯავდა...

ამჟამად ვარ სასიკვდილოდ გადადებული. ექიმები გაკვირვებულნი მიცქერიან და თვალებით მეკითხებიან — კიდევ ცოცხალი ხარო?..

ჩამტვრეული მაქვს ნეკნები, ყვრიმალი, ყბის მარჯვენა ნაწილის სამხრეთდასავლეთი არე; გატეხილი და დაბეჟილი მაქვს მუხლი, ბეჭი, ცხვირი, შუბლი და თავი. (ალბათ ჩემისთანა მამაცებზეა ნათქვამი: სახელის გატეხვას, თავის გატეხვა ჯობიაო!).

ჯულიეტა, შენ უნდა გეამაყებოდეს, რომ ასე ღირსეულად ვკვდები. ბოლო 15-20 წლის მანძილზე, თუ მეხსიერება არ მღალატობს, გამოვიანგარიშე და ალბათ დალეული მაქვს: ხუთასი ფუთი ღვინო, 655 ლიტრა არაყი, 160 ლიტრა შამპანური, 999 კათხა ლუდი. ხუთი ლიტრა ლიმონათი და სამი ჭიქა კომპოტი. ჩემი ოდესღაც ნათელი შუბლი, გამჭრიახი გონება და ბახუსით გამთბარი გული არასოდეს დაუთრგუნავს სიფხიზლის მაცდუნებელ ძალას...

ძვირფასო ჯულიეტა! შემისრულე შენს ვაჟკაცურად თავგანწირულ რომეოს ერთი უბრალო სათხოვარი: ნუ გამიშვებ იმ ქვეყანაში ფხიზელს, სიკვდილის წინ მომიტანე ნახევარი ლიტრა ჭაჭის არაყი (რა იცი, „ეგებ უფრო მოვჯობინდე"), თორემ ლამის წამლებით გაჟღენთილმა დავლიო რაინდული სული!

მოკითხვითა და ნახვის ნატვრით — უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში ერთხელ ფხიზელი შენი რომეო.

წერილი გამოვატანე ვანო ცინცაძეს



ინდექსი 76178

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 30 კაპ